ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 მარტი, 2022 №53 (8831) ფასი: 60 თეთრი

პენიტენციარული სამსახური: „სააკაშვილი ყიფშიძის კლინიკაში გადაიყვანეს“

მარიამ ჯიშკარიანი: „მკურნალობა კვლავ არაადეკვატურია“

გვ.5



„სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს ნამუსი გადაარჩინა“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „საქართველომ თქვას ცალსახად და მკაფიოდ, რომ ჩვენ არა ვართ რიგითი სახელმწიფო“

„რუსეთი ფეხზე ველარ დადგება და წელში ვერ გაიმართება“

„ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის დაშინებას ცდილობს“

შალვა შავგულიძე: „პარლამენტში ასი ხმა არა აქვს „ოცნებას“, ამიტომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ გამოუვათ“

გვ.3

„თურქეთის ბაზრის გახსნა და იქიდან იაფი მედიკამენტების შემოტანა ძალიან კარგია“

გვ.3

სერგო ჩიხლაძე: „თუ ყველაფერი სწორად გაკეთდება, მნიშვნელოვნად ვიგრძნობთ ჯიბეზე“

გვ.4

„პუტინი, სავარაუდოდ, უკრაინაში ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის გამოყენებას გეგმავს“

გიორგი გაჩეჩილაძე: „არ არსებობს დედამიწაზე ქვეყანა, სადაც ლუგარის ტიპის ლაბორატორია არ არის“

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი“

გვ.4

საქართველოს პრემიერ-მინისტრი საპენსიო ფონდის საინვესტიციო საბჭოს წევრებს შეხვდა

გვ.3

ISSN 1987-9385

2 მარგველაშვილი: „სააკაშვილი, მე და ზურაბიშვილი კონსტიტუციის დასაცავად უნდა გავერთიანდეთ“

4 რა შეიძლება მოჰყვეს პუტინის ულტიმატუმების შესრულებასა და მუქარით დადებულ ზავს უკრაინაში?

5 შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის 22 პირი დააკავა
მათ შორის 17 ნარკორეალიზატორია

6 რუსებმა ზაპოროჟიეს ატომურ სადგურზე აფეთქება მოაწყვეს

„სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს ნამუსი გადაარჩინა“

პაატა ზაქარეიშვილი: „საქართველომ თქვას ცალსახად და მკაფიოდ, რომ ჩვენ არა ვართ რიგითი სახელმწიფო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდის პროცესები შევაფასოთ. მთავარი თემა ისევ უკრაინაში განვითარებული მოვლენებია. საკმაოდ რთული ვითარებაა უკრაინაში. რუსეთი საომარ მოქმედებებს არ წყვეტს, ბომბავს ქალაქებს, თუმცა უკრაინა მთელ მსოფლიოს სიმამაცისა და გმირობის მაგალითს აჩვენებს. რა მოლოდინები გაქვთ?

– რუსეთი არ ჩერდება? არა, რუსეთი გაჩერებულია და მარტო ბომბავს, წინ ვერ მიდის. რუსეთი გაჩერდა, ჩაეფლო გარკვეულ თავისივე სტრატეგიაში, სწორად ვერ გათვალა. წლების განმავლობაში მომზადებული სტრატეგია უკრაინელებმა მთლიანად გაუნადგურეს და პრაქტიკულად ახლა სპონტანურად მოქმედებენ, იმიტომ, რომ წინ ვერ მიდიან. რუსეთის არმიამ ვერ აიღო დონეცკის ოლქიც კი, რომელიც აღიარა დამოუკიდებლად. რა უკრაინაზეა ლაპარაკი, ერთი ოლქიც ვერ აიღო. ერთი ქალაქი, მარიუპოლი დღემდე ვერ აიღეს! მარიუპოლი არის, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინგრადი. როგორც სტალინგრადმა მოახერხა, გარდატეხა მოეხდინა მეორე მსოფლიო ომში და მერე ყველამ დაიჯერა, რომ ჰიტლერის დამარცხება შეიძლება, აი, სწორედ ასე იბრძვის მარიუპოლი დღეს უკრაინაში და დღემდე ვერ აიღეს რუსებმა. რას ეუბნება თავის მოქალაქეებს, რისთვის დაიწყო ომი?! რატომ დაიხოცა ამდენი ადამიანი, რისთვის?! ვერაფერი ვერ შეცვალეს, გარდა იმისა, რომ ხერსონი აიღეს. ეს რუსეთის ძალიან დიდი მარცხი და ღრმა კრიზისია. შესაძლოა, ამის შემდეგ მან უფრო საშიში იარაღი გამოიყენოს.

– სულ ისმის პუტინის მუქარა ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით. რამდენად არის ამაზე წამსვლელი?

– ეს მუქარა საკმაოდ რეალისტურია. ახლა პუტინი იმდენად არის გამწარებული, რომ ყველაფრის მკადრებელია. სხვა საკითხია, რამდენად იკადრებს ამას გენერალიტეტი და გარემოცვა. უკვე ყველა ხვდება, რომ ცუდად დაუმთავრდებათ. როგორც არ უნდა დამთავრდეს, ეს სერიოზული კრახი იქნება რუსეთისთვის. რუსეთი ფეხზე ვეღარ დადგება და წელში ვერ გაიმართება.

– შიგნით იწყება უკვე პროტესტი, თუნდაც ჟურნალისტის გუშინდელი პერფორმანსი საინფორმაციო გამოშვების დროს. ეს გმირობის ტოლფასი იყო.

– მართლაც, ძალიან მაგარი რამ გააკეთა. ეს არის ინფორმაცია კობახიძისთვის, პროცედურა დაარღვია ზურაბიშვილმაო. პროცედურა დაარღვია იმ გოგომაც, მაგრამ ღირებულება დაიცვა. მოკლედ, რუსები უკრაინის დიდ ქალაქებში ვერ შედიან. დიდ ქალაქებს სჭირდება ცოცხალი ძალა და არა ტანკი და თვითმფრინავი. რუსები, რომლებიც დაიწყებენ კიევის აღებას, მხოლოდ კუბოებით გამოვლენ იქიდან. კიევსა და ხარკოვში შეიძლება შევიდნენ, მაგრამ იქიდან გამოსვლა შეუძლებელი იქნება. ამიტომ ვერ შედიან რუსები ამ დიდ ქალაქებში. ასევე მთელი მსოფლიო ეხმარება უკრაინას. მათ განსაკუთრებით იარაღი სჭირდებათ. ხალხი ჰყავთ, იქ მებრძოლი სულია ძალიან მაღალი და დღეს სჭირდებათ რაც შეიძლება მეტი იარაღი. ეხმარებიან კიდეც და ეს სერიოზული საქმეა. მსოფლიო ამას არ ამადლის უკრაინას.

– უფრო მეტი დახმარებაც შეიძლებაო.

– არ დაგვავიწყდეს ეკონომიკური სანქციები. ესეც ფანტასტიკურად მუშაობს. მე მშვენივრად მესმის ზელენსკის ემოციურობა. არავინ არ ბრაზობს, როცა ის აკრიტიკებს დასავლეთს, მაგრამ დასავლეთი მაქსიმუმის მაქსიმუმს აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ცას არ კეტავს და თვითმფრინავებს არ აძლევს, ძალისხმევას არ იშურებს უკრაინის დასახმარებლად. თუმცა თვითმფრინავების გადაცემა ჩუმად იყო შესაძლებელი, ხოლო ცის ჩაკეტვა, რასაც ახლა მოითხოვს ზელენსკი, გამოიწვევს ესკალაციის გავრცელებას სხვა ქვეყნებზე. ჩაკეტვა რა არის? ეს კომპიუტერი კი არ არის, რომ ცა გამორთო. მუდმივად უნდა პატრულირებდნენ ნატოს გემები და თვითმფრინავები და, რუსი რომ შემოფრინდება უკრაინის ცაზე, უნდა ჩამოაგდონ. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსებიც ჩამოაგდებენ ამერიკულ თვითმფრინავს. რამდენად მოეწონება ამერიკელ, ფრანგ თუ ბრიტანელ ამომრჩეველს, როცა მათი მოქალაქეები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იხოცებიან?! ცის ჩაკეტვა რუსეთს მისცემს საშუალებას, გააფართოოს კონფლიქტის არეალი. პუტინი ისედაც მიზეზს ეძებს. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება დასავლეთს და მე ეს მესმის. ჩვენ რომ შიში გვაქვს საკუთარი აჩრდილების, იქ ისე არ არის.

– როგორია საქართველოს ჩართულობა და როლი ამ პროცესებში, რა პოზიცია უკავია საქართველოს ხელისუფლებას?

– სამარცხვინო პოზიცია უკავია. საქართველო არის კონფლიქტის მხარე. ეს უნდა გვესმოდეს. საქართველო იმალება, ვითომ არ არის კონფლიქტის მხარე. აზერბაიჯანიც ეხმარება უკრაინას, თურქეთიც. თურქეთი უნიკალური ფენომენია, ძალიან ეფექტურ იარაღს აწვდის უკრაინას, ბაირახტარებს, რომლებიც ანადგურებს რუსულ ტანკებს. ამ დროს კი რუსეთი ხმას ვერ იღებს, დადუმებულია თურქეთის მიმართ, მეტიც, თურქეთის გარშემო რიტუალურ ცეკვებს ასრულებს. ლავროვი ანტალიაში ჩავიდა და მადლობა გადაუხადა თურქეთს შუამავლობისთვის. თურქეთი, ისევე, როგორც ჩინეთი, საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა.

– ჩინეთი, შესაძლოა, რუსეთს დაეხმაროსო. ამაზე რას იტყვით?

– არა. ინფორმაცია გავრცელდა იმაზე, რომ რუსეთმა მიმართა თხოვნით და არა იმაზე, რომ ჩინეთი რუსეთს დაეხმარება. რაში სჭირდება ჩინეთს ეს ყველაფერი? მაშინვე მიიღებს სანქციებს ამერიკიდან. დღეს ჩინეთს ამერიკასთან სჭირდება კარგი ურთიერთობები და არა რუსეთთან. დღეს თურქეთი არის იმის მაგალითი, თუ ძლიერად დგახარ და შენი მყარი პოზიცია გაქვს, ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს. ჩვენ კარგი თანამშრომლობა უნდა გვქონდეს თურქეთთან. ისეთ მტერს, როგორიც არის რუსეთი, სჭირდება სერიოზული მოწინააღმდეგე. რუსეთი ყველას კი ვერ უბედავს იმას, რასაც ჩვენ გვიბედავს. საქართველომ თქვას ცალსახად და მკაფიოდ, რომ ჩვენ არა ვართ რიგითი სახელმწიფო.

– რუსეთმა არამეგობრული ქვეყნების სია გამოაქვეყნა და ჩვენ არ მოვხვდით მათ შორის.

– ეს იყო სამარცხვინოზე სამარცხვინო. ამ დროს ხელისუფლება უნდა გამოსულიყო და ეთქვა, რომ ჩვენ ვართ კონფლიქტის მხარე და მხარს ვუჭერთ უკრაინას.

– ისიც ითქვა, რომ მიზანმიმართულად წავიდა რუსეთი ამ პროვოკაციაზე, რათა დასავლეთთან გაგვიფუჭოს საქმე.

– ჩვენ თვითონ გავიფუჭეთ ჩვენი საქმე. რუსეთმა უკვე დიდი ხანია გააფუჭა საქართველო. ჩვენ დღეს ანტიგმირის როლში ვართ. რუსეთს უნდა, რომ უკრაინაც საქართველოდ აქციოს. დღეს საქართველოს ნამუსი სალომე ზურაბიშვილმა გადაარჩინა.

– საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო მისი გამოსვლა პარლამენტში, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამან „ოცნება“ ძალიან გააბრაზა. პრეზიდენტს კონსტიტუციის დარღვევა დასდეს ბრალად და საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართავენ. სადამდე შეიძლება წავიდნენ?

– ნამდვილად მნიშვნელოვანი გამოსვლა ჰქონდა, ბრწყინვალე იყო, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არანაირი შეცდომები არ დაუშვია. უნდა შევიგნოთ ყველამ, რომ პოლიტიკა არის დღეს და აქ. შესაძლოა, ფეხბურთის გუნდი შარშან კარგად თამაშობდა და წელს ცუდად თამაშობს. ეს უნდა აღნიშნო. შარშან კარგი იყო, წელს ცუდად თამაშობს. არ უნდა დავუვიწყოთ ერთმანეთს წარსული. ოდესღაც ჩემთვისაც კრიტიკის საგანი იყო სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ დღეს იქცევა ბრწყინვალედ. ზურაბიშვილი მოიქცა ისე, როგორც გუშინ მოიქცა რუსი ჟურნალისტი, რომელმაც დაარღვია პროცედურა თავის საკუთარ ეთერში და ამით რუსებს შეატყობინა, რომ ღირებულებები უფრო მაღლა დგას. ამ ორწამიანმა კადრმა მთელი მსოფლიო დაიპყრო. ამ ორწამიანმა გამოსვლამ გადააფასა და გადაწონა მთელი მისი პროპაგანდისტული საქმიანობა. ასეა სალომე ზურაბიშვილიც. სალომეს ერთმა პროცედურის დარღვევამ და ევროპაში ისე წასვლამ, რომ არ შეუთანხმა ეს მთავრობას, აჩვენა, რომ საქართველო არის ღირსეული სახელმწიფო და პრეზიდენტი იქცევა ღირსეულად.

– პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვიაო.

– დაარღვია თუ არ დაარღვია, ეს არავის არ ეკითხება, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსი. ვინც ამას ამბობს, ის თვითონ არღვევს კონსტიტუციას. სწორედ კობახიძე და ძმანი მისნი არღვევენ კონსტიტუციას, როდესაც ამბობენ, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. ეს იგივეა, მე ვიღაცაზე ვთქვა, რომ მკვლელია. ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს, მე არ ვიცი, არის თუ არა მკვლელი. კეთილი ინებოს იურისტმა კობახიძემ, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს იურისპრუდენციაზე, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. კობახიძე დღეს არის რიგითი დეპუტატი და არა მოსამართლე! სალომე ზურაბიშვილმა ღირებულებითი არჩევანი გააკეთა! მოსკოვში კი არ წავიდა კონსტიტუციის დარღვევით. თუკი ასე მოხდა, ის წავიდა ევროპაში. თუ ასეთი მაგარია და ვაუკაცია კობახიძე, იმპიჩმენტი გამოუცხადოს პრეზიდენტს!

– სხვათა შორის, ამაზეც საუბრობენ. „ოცნება“ კი უარყოფს, არ ვაპირებთ პრეზიდენტის იმპიჩმენტსო, მაგრამ მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– მშვენიერია, მოითხოვონ! კიდევ ერთხელ მოხდება მათი ლუსტრაცია! ზურაბიშვილი აღმოჩნდება ბრიუსელისა და ევროპის მხარეს და კობახიძე და იმპიჩმენტის ავტორები აღმოჩნდებიან მოსკოვის მხარეს. ამათგან გამორიცხული არაფერია, მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთი ღურსმანი მათ კუბოზე! დიდი სისულელე იქნება ამის გაკეთება.

„ოცნებამ“ პრეზიდენტ ზურაბიშვილს ღია ომი გამოუცხადა

„ქართული ოცნება“ პრეზიდენტ ზურაბიშვილს ღიად დაუპირისპირდა. მეტიც, კობახიძე-ღარიბაშვილის გუნდმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის დადასტურება მოითხოვა.

„საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს კონსტიტუციას ვერ კითხულობს და დღემდე მის არსში ვერ გაერკვა, ან ის ამ შემთხვევაშიც კონსტიტუციის თავისებურად გადაწერას ცდილობს“, – ვკითხულობთ „ოცნების“ განცხადებაში.

„საქართველოს მთავრობა იძულებული ხდება, უახლოეს მომავალში მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების შესახებ დავის პროცედურის ფარგლებში და საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის დადასტურება მოითხოვოს“, – წერს მმართველი პარტია.

„კონსტიტუციის პატივისცემა და მის შესაბამისად მოქმედება ყველა კონსტიტუციური ორგანოს უპირველესი ვალია. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც კონსტიტუციის დაცვის ვალდებულებას თავად კონსტიტუცია პირდაპირი ტექსტით აკისრებს.

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, აშკარად იკვეთება უარყოფითი ტენდენცია და ჩვენი ვალია, ამ ტენდენციაზე იმთავითვე მოვახდინოთ პოლიტიკური რეაგირება, რათა მან კონსტიტუციური სისტემის ფუნქციონირებას რაიმე ჭარბი სირთულე არ შეუქმნას.

„ის კონსტიტუციას ვერ კითხულობს“

ვიდრე დეტალებზე ვისაუბრებთ, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტს გვინდა მოვუწოდოთ, გაეცნოს საქართველოს კონსტიტუციას და განსაკუთრებით, სამი მთავარი კონსტიტუციური ორგანოს – პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს“, – წერია განცხადებაში.

„ქართული ოცნება“ ზურაბიშვილს კონსტიტუციის მიღმა მოქმედებაში ადანაშაულებს.

„პრეზიდენტს გვინდა შევახსენოთ, რომ სახელმწიფო სისტემის თამაშის წესებს არა პრეზიდენტი, არამედ კონსტიტუცია განსაზღვრავს, ხოლო პრეზიდენტს კონსტიტუციის გადაწერის შესაძლებლობას ვერავინ მისცემს.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია საგარეო პოლიტიკის განხორციელების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას საქართველოს მთავრობას ანიჭებს. საპარლამენტო რესპუბლიკის პრინციპების შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართვა საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის საგანგებო თანხმობით შეუძლია. საქართველოს პრეზიდენტს არ ექვემდებარება საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული არცერთი სახელმწიფო უწყება, რაც მის მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელებაში ეფექტიან ჩართვას შეუძლებელსაც კი ხდის. ეს თავისებურებები საპარლამენტო რესპუბლიკის პრინციპებიდან გამომდინარეობს“, – აღნიშნულია კობახიძე-ღარიბაშვილის გუნდის საგანგებო განცხადებაში.

მეტიც, მმართველი პარტია აცხადებს, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში, იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტმა მთავრობის მიერ წარდგენილი ელჩისა თუ დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტების დაბლოკვას, მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუცია პრიორიტეტს მთავრობას ანიჭებს.

მმართველი პარტია „სრულიად გაუგებარს“ უწოდებს პრეზიდენტის 14 მარტის განცხადებებს, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს მოწვევას ეხებოდა.

„ოცნებაში“ აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოების საბჭო არის პრემიერ-მინისტრის სათათბირო სამთავრობო ორგანო, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის იქმნება.

„ამ სამთავრობო ორგანოში არასამთავრობო სუბიექტების, პრეზიდენტისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეყვანა სისტემის ლოგიკასა და ორგანოს არსს პირდაპირ ეწინააღმდეგება. საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს კონსტიტუციას ვერ კითხულობს და დღემდე მის არსში ვერ გაერკვა, ან ის ამ შემთხვევაშიც კონსტიტუციის თავისებურად გადაწერას ცდილობს. მთავარსარდლის სტატუსზე მითითებაც იმ პირობებში, როდესაც საპარლამენტო რესპუბლიკაში ეს სტატუსი მხოლოდ ცერემონიული დატვირთვის მატარებელია, იმაზე მეტყველებს, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციას სწორად ვერ ან არ კითხულობს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„ქართული ოცნება“ წყობიდან პრეზიდენტის იმ განცხადებამაც გამოიყვანა, სადაც ზურაბიშვილმა თქვა, რომ „ხელისუფლება სცოდავს“.

მათივე მტკიცებით, არანაკლებ გაუგებარი იყო პრეზიდენტის განცხადება ევროინტეგრაციის მინისტრად ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

„საქართველოს პრეზიდენტმა პირველ რიგში უნდა სცეს პატივი საქართველოს კონსტიტუციას და პრეზიდენტის კონსტიტუციურ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს“, – წერია განცხადებაში.

მარგველაშვილი: „სააკაშვილი, მე და ზურაბიშვილი კონსტიტუციის დასაცავად უნდა გავერთიანდეთ“

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ 15 მარტის გადაწყვეტილებას ეხმაურება და ამბობს, რომ ხელისუფლება ცდილობს, საქართველო რუსეთს გადაუფორმოს და ამ პროცესში ყველა გააჩუმოს.

მისივე თქმით, ის სასამართლო მეგობრის ინსტიტუტს გამოიყენებს. მარგველაშვილი ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ კონსტიტუციის დასაცავად 3 პრეზიდენტი გაერთიანდება.

– ჩვენ ვხედავთ კაპიტულანტური მთავრობის მცდელობას, რომ ყველა გააჩეროს და გააჩუმოს იმ პროცესში და ემზადებიან იმისთვის, რომ რუსეთს გადასცენ საქართველო, გადაუფორმონ და ამ ნოტარიულ აქტში ყველა უნდა იყოს გაჩუმებული. სხვანაირად, პოლიტიკურად ეს არაფერს არ შეიძლება ნიშნავდეს. აქედან გამომდინარე, მე გამოვიყენებ სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს, ჩამოვაყალიბებ ჩემ პოზიციას, იმისთვის, რომ დავიცვათ კონსტიტუცია.

კარგი იქნება, თუ ამ პროცესს შემოუერთდება პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სამივე შევძლებთ, რომ კონსტიტუციის დასაცავად გაერთიანდეს სამი პრეზიდენტი, – თქვა გიორგი მარგველაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ შერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის დაშინებას ცდილობს“

შალვა შავგულიძე: „პარლამენტში ასი ხმა არა აქვს „ოცნებას“, ამიტომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ გამოუვათ“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დეპუტატი, იურისტი შალვა შავგულიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, პრეზიდენტის პარლამენტში წლიურ ანგარიშს „ქართული ოცნების“ მხრიდან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ იმპიჩმენტის პროცედურა არ დაიწყება, თუმცა პრეზიდენტს კონსტიტუციური უფლებები კიდევ ერთხელ განემარტება. როგორ ფიქრობთ, რას აპირებენ პრეზიდენტის მიმართ?

– ერთი რამ ნათელი და აშკარაა, „ქართული ოცნება“ ვერ ეგუება ქვეყანაში დამოუკიდებელ ინსტიტუტებსა და მის დამოუკიდებელ ხელმძღვანელებს. ამის ილუსტრირება იყო ცოტა ხნის წინ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და სამსახურის ხელმძღვანელის გადაყენება. ასე ცდილობენ, კონკრეტული დამოუკიდებელი ინსტიტუტი და მისი ხელმძღვანელი პირი ჩამოიცილონ ან გადააყენონ. მე მგონია, რომ ასეთი სურვილი აქვთ პრეზიდენტის მიმართაც.

პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მე სალომე ზურაბიშვილს მადლობა მინდა გადავუხადო იმ პოზიციის გამო, რომელიც პარლამენტში დააფიქსირა და რომელიც მას უკრაინასთან დაკავშირებით აქვს. მისი ამ პოზიციით სახელმწიფომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე სახე შეინარჩუნა. ხელისუფლების პოზიცია აცდენილია პროგრესული საზოგადოების, ცივილიზებული სამყაროს პოზიციას, რაც სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს ან აუქმებენ, ან მის დამოუკიდებელ ხელმძღვანელებს თანამდებობიდან აყენებენ. პრეზიდენტიც შეიძლება გადააყენონ? ასე შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?

– დიახ, აშკარა მცდელობაა პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების, მაგრამ ამას ვერ შეძლებენ. იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედი. ეს არის ასი ხმა. „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ასი ხმა არ აქვს და, არა მგონია, შეძლონ მისი მოგროვება. თუმცა, რამდენადაც ვიცი, უკვე მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს იმის დასადგენად, კონსტიტუციური იყო თუ არა პრეზიდენტის ვიზიტები. ერთი სიტყვით, კონსტიტუციურობის საკითხს არკვევენ, მაგრამ საბოლოოდ იმპიჩმენტი არ გამოუვათ.

– ეს არის პრეზიდენტისთვის ერთგვარი ადგილის მიჩენა?

– დიახ, მცდელობაა, გავლენა მოახდინონ პრეზიდენტზე, დააშინონ, რომ მომავალში აღარ გადაუხვიოს „ქართული ოცნების“ ფიქრებსა და გზებს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ფუჭი მცდელობაა, რადგან, არა მგონია, ასე მარტივად დაშინდეს სალომე ზურაბიშვილი. ის არ შეიცვლის თავის პოზიციას, ან როგორ უნდა შეიცვალოს, თუ ოდნავ მაინც ადამიანს სამართლიანობის განცდა გაქვს. თუ დღეს არ იქნები ცივილიზებული სამყაროს ნაწილი, დასავლეთის ნაწილი, მერე უკვე ძალიან გვიან იქნება, როდესაც უკრაინა გაიმარჯვებს და პუტინის სასტიკი რეჟიმი დამარცხდება.

დღეს სჭირდება ქვეყანას სწორი პოზიციის დაფიქსირება, სწორი ნაბიჯების გადადგმა. სახელმწიფომ თავისი პოზიცია ძალიან ღიად უნდა დააფიქსიროს. კი, გააკეთეს დაჩქარებული წესით ევროკავშირის წევრობის განაცხადი, მაგრამ, თუ მის პოზიციებს არ ეთანხმები, თუ არ უერთდები ევროკავშირის სანქციებს და ამბობ, რომ არაეფექტურია, თუ რეზოლუციაში ვერ წერ, რომ რუსეთი აგრესორია, თუ მოხალისეებს უარს ეუბნები უკრაინაში ჩასვლაზე, რა გამოდის, რომ განაცხადი ფორმალურია?! ეს ყველაფერი ძალიან ცუდად ჩანს. ეს ყველაფერი პუტინისთვის მაამებლურ პოზიციას ჰგავს. ამ ქმედებებს გამართლება არა აქვს. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ შეცვლის ამ პოზიციას, შეუძლებელია, საქართველო ისტორიის არასწორ მხარეს იდგეს. ასე სახელმწიფო ცივილიზებულ მსოფლიოს დავშორდებით. ეს უნდა გააცნობიერონ.

– როგორია თქვენი პოზიცია პრეზიდენტის წინადადებების მიმართ, რომ უნდა შეიქმნას ევროკავშირთან ინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტრო და მისი აპარატი, რომ ოპოზიცია ჩაერთოს ამ პროცესში?

– ძალიან საინტერესო და მისასალმებელი პოზიცია აქვს პრეზიდენტს, მაგრამ კრიტიკას ვერ უძლებს „ქართული ოცნების“ პასუხი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე. მათ საზოგადოებას უთხრეს, რომ თურმე ამის უფლება არ აქვს პრეზიდენტს. არადა, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება არათუ წინადადების, არამედ იმისაც, რომ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მომართოს. სხვა საკითხია, ის იქცევა თუ არა კანონად, მაგრამ წინადადების უფლება ყველას აქვს. აქ იმის ძიება, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

– ფიქრობთ, არც ერთი წინადადება არ იქნება გაზიარებული?

– არა მგონია. ბავშვურად ჯიუტობენ. არ არის ჩვენთან და აღარც ცუდი და აღარც კარგი გვინდა მისგანო – ფიქრობენ. ეს არის „ქართული ოცნების“ დამღუპველი პოზიცია. არადა, არსებობს ასეთი პრაქტიკა, რომ შეიქმნას ევროკავშირში ინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტრო, მისი აპარატი, რომელიც ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებაზე იქნება ორიენტირებული. არა მგონია, მძიმე ტვირთად დააწვეს ეს ბიუჯეტს, როდესაც სხვა უამრავ დაუსაბუთებელ ხარჯს ვხედავთ.

„თურქეთის ბაზრის გახსნა და იქიდან იაფი მედიკამენტების შემოტანა ძალიან კარგია“

სერგო ჩიხლაძე: „თუ ყველაფერი სწორად გაკეთდება, მნიშვნელოვნად ვიგრძნობთ ჯიბეზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი სერგო ჩიხლაძე პასუხობს.

– ბატონო სერგო, საზოგადოება რამდენიმე თვეა, თურქეთის ბაზრის გახსნასა და იქიდან იაფი მედიკამენტების შემოტანას ელის. ბაზარი უკვე გახსნილია და მედიკამენტებიც შემოდის. ფასიც საკმაოდ დაბალია. თუმცა ამის შესახებ მოსახლეობის დიდ ნაწილს ინფორმაცია არ აქვს. ბოლო პერიოდის მოვლენებმა ყველა სახის ინფორმაცია გადაფარა. როგორც ჯანდაცვის ექსპერტი, რა ინფორმაციებს გაუზიარებთ ჩვენს მკითხველს, რა სიახლეებია ამ კუთხით?

– დიახ, თურქეთის ბაზარი გაიხსნა და შემოვიდა გარკვეული პარტია წამლების, რამდენიმე ათეული დასახელების და უახლოესი ერთი-ორი თვის განმავლობაში კიდევ შემოვა რამდენიმე ათეული დასახელების სხვადასხვა წამალი. ეს არის ჰორმონული, ანტიალერგიული, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები. მოკლედ, საკმაოდ ფართო სპექტრია.

– და ფასიც საკმაოდ დაბალია, ხომ?

– დიახ, რაც შემოვიდა, ფასების სხვაობა საგრძნობლად არის ამ ჯგუფის პრეპარატებზე. ოღონდ ჯერჯერობით ეს არის რამდენიმე დასახელების წამალი და, სავარაუდოდ, ამ დასახელების წამლებზე ფასის სხვაობა იქნება. სხვა საკითხია, გლობალურად ანუ მასობრივად ეს ჯიბიდან გადახდებზე რამდენად იმოქმედებს.

– ხარისხს რაც შეეხება? წესით, ქართული წარმოების მედიკამენტს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს თურქული.

– საერთოდ, ფასი და ხარისხი ერთმანეთთან ბმაშია. ჩვენ ამას არც განვიხილავთ და არც არის სწორი. ძვირი და ხარისხიანი წამალი თუ ხელმისაწვდომი არ იქნება, რა თქმა უნდა, არ მინდა, მაგრამ, ასევე არ მინდა, იყოს იაფი, უხარისხო და თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს. რადგან ფასზე ვსაუბრობთ, ფასის მიხედვით კი შესაძლებელია, რამდენიმე, თუნდაც ასი დასახელების წამალი შემოვიდეს, ოღონდ, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ბაზარზე დღეს არის 14 ათასი დასახელების სხვადასხვა წამალი. ამიტომ, მთლიანობაში, გლობალურად თუ შევხედავთ, მხოლოდ თურქეთის ბაზრის გახსნით ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. პირობითად, მე თუ ვარ კონკრეტული დასახელების წამლის მომხმარებელი და ეს მედიკამენტი გამოიაფდება, ეს ჩემთვის შვება იქნება, მაგრამ, მთლიანობაში, დაახლოებით 14 ათასი დასახლების წამალია და, ეს რამდენად შეამცირებს ჯიბიდან გადახდის მაჩვენებელს საქართველოში, აქ არის დიდი კითხვის ნიშანი.

– კიდევ რა არის გასაკეთებელი?

– ამას სჭირდება სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა. იმპორტის გაადვილება და ასე შემდეგ გასაგებია, მაგრამ წამლის ფასზე ყველაზე მეტად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: მონოპოლიების თემა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონოპოლიები.

– სულ იყო საუბარი იმაზე, რომ ეს მონოპოლიები საქართველოში ვერავინ ვერ დაანგრია.

– დიახ, ასევე ეს არის ინტერესთა კონფლიქტი, როდესაც გარკვეული ექიმები გარკვეული ფარმაცევტული კომპანიების მიერ წარმოებულ ან შემოტანილ წამლებს გამოწერენ ხოლმე.

– ასევე დაიწყო საუბარი ელექტრონული რეცეპტების დანერგვაზე და ალბათ ესეც სწორი მიდგომაა.

– ელექტრონული რეცეპტები აუცილებელია. სპეციალისტები და პირადად მე, ბოლო 10 წელია, სულ ვამბობთ, რომ აუცილებელია ელექტრონული რეცეპტები. თუმცა ქაღალდის რეცეპტი შემოიღეს და ამან არ იმუშავა.

– რამდენად მოსპობს ამ კომერციულ სქემას ელექტრონული რეცეპტი?

– ეს უშველის ამ პრობლემას. პრობლემურია იმავე გენერიკების თემა. გამოწერენ მაინცდამაინც ბრენდულ წამალს, რომელიც პირობითად ღირს

30-40 ლარი, როდესაც მისი ანალოგი, იმავე მოქმედების, 5-ლარიანიც შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, ადამიანს რომ გამოუწერ წამალს, არ იცის, თუ არის ასეთი სხვაობა ფასში ან იმავე დასახელების სხვა წამალი გაცილებით დაბალ ფასად. ყველას ხომ არა აქვს სამედიცინო განათლება. ამიტომ აქ ბევრი თემაა, იგივე მონიტორინგი და ასე შემდეგ. ამიტომ, თუ გვინდა, რომ წამლის ფასზე რეალური შედეგები დაიდოს და არა რაღაცა კონტექსტიდან ამოგლეჯილი, რომ აი, 5 წამალზე გაიაფდა, 10 წამალზე გაიაფდა და კონკრეტულად ასმა ან ათასმა ადამიანმა შვება ნახა, ვინც ამ წამალს მოიხმარდა, არა, აქ საჭიროა კომპლექსური მიდგომა. აქ ასევე საჭიროა ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა, გასაჯაროება, გამჭვირვალე სქემების შექმნა, ვინ ვისთან თანამშრომლობს. შესაძლოა, ექიმი თანამშრომლობდეს ფარმაცევტულ კომპანიასთან, დაუფინანსდა კონფერენცია, სადღაც წავიდა, რაღაცა კვლევა ჩაატარა, ოღონდ, ეს არ უნდა იყოს იმის ხარჯზე, რომ ახლა მე რომ შენ ამას დაგიფინანსებ, აუცილებლად ჩემი ხუთჯერ ძვირი წამალი ხუთმაგად დანიშნო. ეს უნდა აღმოიფხვრას. ელექტრორეცეპტები კიდევ რატომ არის საჭირო? იმიტომ, რომ ელექტრონულად მოხდეს ზედამხედველობა, ვინ რამდენ წამალს ნიშნავს.

– უკვე აქტიურად დაიწყო საუბარი ელექტრონულ რეცეპტებზე.

– დიახ, დაიწყო და ძალიან კარგია. მე და ჩემი კოლეგები ამას 10 წლის წინ ვამბობდით. რატომ არ დაიწყო 8-10 წლის წინ, ამ დროის განმავლობაში ხომ ბევრი ადამიანი გაღარიბდა, ბევრმა ვერ მიიღო სათანადო მკურნალობა. ამას ან რად უნდოდა ამდენი ფიქრი? ძალიან კარგია, ეს რომ დაიწყება. წლებია, ამაზე ვსაუბრობ. ძალიან ბევრი თემა უნდა იქნეს მოცული, რომ ეს ჩვენმა მოსახლეობამ მასობრივად შეიგრძნოს თავის თავზე. თუ ყველაფერი სწორად იქნება გაკეთებული, სადღაც ერთი წლის ვადაში, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად ვიგრძნოთ ჯიბეზე ეს შედეგები. ბევრი მიმართულებით არის სამუშაო. ამას სჭირდება კანონმდებლობის მოწესრიგებაც, ახალი კანონპროექტების ინიცირება, გატანა და ასე შემდეგ. თურქეთის თემის მიმართულება ძალიან კარგია, ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ მხოლოდ ამ მიმართულებაზე ნუ ჩავიციკლებით. ბევრი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ.

– ბატონო სერგო, აქტუალობას ჯერ ისევ არ კარგავს პანდემიის თემა, მიუხედავად იმისა, რომ დაინფიცირების სერიოზული კლება გვაქვს. ახალი შტამი გამოჩნდაო, გვამცნეს გუშინ. რის თქმა შეგიძლიათ, თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ახალ შტამზე?

– ჯერჯერობით არავის არა აქვს ამის შესახებ ინფორმაცია. არა მარტო კორონავირუსის, სხვა ვირუსების შემთხვევაშიც ბუნებაში ყოველთვის ჩნდება ახალი შტამები. წინასწარ არ ვიცით, ეს შტამი რამდენად აგრესიული ან გადამდები იქნება. კი, დაფიქსირდა, რომ ახალი შტამი არის, შემდეგშიც იქნება ახალი შტამები. უბრალოდ, ჯერჯერობით ადრეა საუბარი, თუ რა შედეგები ექნება ამას. შესაძლოა, სულაც არანაირი ნეგატიური შედეგი არ ჰქონდეს და ეს კარგი იქნება, შესაძლოა, ერთგვარი გარდატეხა მოხდეს და პანდემიის განვითარება დაბლა, ნელნელა გაქრობისკენ წავიდეს, ან, შესაძლოა, პირიქით იყოს, უფრო აგრესიული სახე მიიღოს. ამაზე მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრევია. ერთადერთი, ფრთხილად უნდა ვიყოთ. ნუ ჩავთვლით, რომ პანდემია დამთავრდა, იმიტომ, რომ ასე ნამდვილად არ არის. თუმცა, ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთან ომიკრონის შტამის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო. მოსახლეობის ლამის ნახევარზე მეტმა გადაიტანა და, შესაბამისად, მის მიმართ გარკვეული იმუნიტეტი არის. ამიტომ, სანამ ეს შტამი ტრიალებს, მატება აღარ გვექნება. ახალ შტამზე კი ჯერჯერობით ინფორმაცია მწირია, არა ვიცით, რა იქნება. მთავარია, ვიყოთ ფრთხილად, მაგრამ, ასევე, ვიყოთ მშვიდად, ნურც ზედმეტად გავთამამდებით. ჯერჯერობით არანაირი პანიკის საფუძველი არ გვაქვს. ეს შტამები მუდმივად ჩნდება, მომავალშიც იქნება. ეს ვირუსს ახასიათებს. არც მოსახლეობა უნდა დავაპანიკოთ და არც ჩვენ უნდა დავპანიკდეთ. ჯერჯერობით სიფრთხილე გვმართებს, ნუ ჩავთვლით, რომ ეს დასრულდა. უახლოეს ორ-სამ თვეში გამოჩნდება, როგორ მიდის მსოფლიოში პანდემიის საქმე, შესაბამისად – საქართველოშიც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი საპენსიო ფონდის საინვესტიციო საბჭოს წევრებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საპენსიო ფონდის საინვესტიციო საბჭოს წევრებს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საპენსიო ფონდის როლზე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და ამ მიმართულებით გრძელვადიანი საინვესტიციო წყაროების მნიშვნელობას გაესვა ხაზი.

საპენსიო ფონდზე საუბრისას ასევე განიხილეს განვლილი პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები.

საბჭოს წევრებმა წარადგინეს ინიციატივები საკანონმდებლო გაუმჯობესების კუთხით. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მთავრობასთან, რათა მომავალში, ფონდის საინვესტიციო საქმიანობა უფრო ეფექტიანი იყოს.

დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის მიხედვით, სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობა ამჟამად მხოლოდ დაბალრისკიან პორტფელს მოიცავს.

საპენსიო ფონდი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კერძოდ, ქვეყანაში ჩნდება ლარის გრძელვადიანი საინვესტიციო კაპიტალი, რაც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად; საინვესტიციო კაპიტალი ეკონომიკას ძირითადად კაპიტალის ბაზრის გავლით მიეწოდება, რაც ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას; მნიშვნელოვნად იზრდება დანაზოგების დონე ქართულ ეკონომიკაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დაბალანსებას.

ამჟამად დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანებულია 1.1 მლნ-მდე ადამიანი. მთლიანი აქტივის ღირებულება 2.17 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც საინვესტიციო საქმიანობის შედეგად დარიცხული სარგებელი 309 მილიონი ლარია. მიმდინარე წლიური ეფექტური მომგებიანობა – 11.6%, ხოლო ფონდის ამოქმედების დღიდან მომგებიანობა 34%-ია.

დღეის მდგომარეობით, თანხები სრულად განთავსებულია 8 კომერციულ ბანკში და ლარში დენომირებულ ინსტრუმენტებში, სადაც აქტივების 62% არის სადეპოზიტო სერტიფიკატებში, ხოლო 38% – მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე. საპენსიო სააგენტო წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე.

შეხვედრაში საპენსიო ფონდის საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე ოლივიე რუსო, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჟან-ფრედერიკ პოლსენი, საბჭოს წევრები მაიკლ რიდლი და ტიმო ვიჰერკენტა, ხოლო საქართველოს მხრიდან – ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი და საპენსიო სააგენტოს დირექტორი გიორგი დანელია მონაწილეობდნენ.

„პუტინი, სავარაუდოდ, უკრაინაში ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის გამოყენებას გეგმავს“

გიორგი გაჩეჩილაძე: „არ არსებობს დედამიწაზე ქვეყანა, სადაც ლუგარის ტიპის ლაბორატორია არ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, რუსეთმა განაცხადა, რომ ამერიკას უკრაინაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიები აქვს და გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია. ამაზე დასავლეთმა კონტრბრალდებით უპასუხა. ნატოს გენმდივანმა განაცხადა, რუსეთს, ალბათ, დაგეგმილი აქვს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება და ალიბს იკეთებსო. თქვენ რას ფიქრობთ?

– რუსეთისთვის დამახასიათებელია ისეთი თამაშის წესები, რომლებიც ყველა აგრესორს ახასიათებს. პუტინმა თავისი აგრესია და საქციელი რაღაცით რომ გაამართლოს, ცდილობს, შექმნას ისეთი ფონი, რომ თავისი ქმედებები რაღაცით ახსნას.

ჰიტლერს პოლონეთში შეჭრა რომ უნდოდა, გერმანელ ჯარისკაცებს პოლონური ფორმა გადააცვა და ერთ-ერთ საგუშაგოზე გერმანელი ჯარისკაცები ამოხოცა, რათა პოლონეთში შეჭრის მიზეზი ჰქონოდა. ასეთი საქციელი ყოველთვის დამახასიათებელია დიქტატორული რეჟიმებისთვის, რაც ძალიან საშიშია და გამიზნულია მომავალი ქმედებისთვის.

პუტინი უკრანაში ომს რომ იწყებდა, მიზეზად რაღაც აბსურდი შეთითხნა, თითქოს უკრაინაში ნაციონალური რეჟიმია.

– დენაციფიკაცია უნდა მოვახდინოო.

– დიახ, თქვა, უკრაინაში ნაციონალურ-ფაშისტური რეჟიმია, იქ დაპირისპირებაში ჯარი კი არ მონაწილეობს, არამედ ჩვენ წინააღმდეგ ნაციონალისტები იბრძვიანო. წარმოიდგინეთ, პროპაგანდის რა დონეა. ბოლო დროს ამას ბელარუსის პრეზიდენტმა პუტინთან შეხვედრის შემდეგ დაამატა, ჩვენ ზუსტად ვიცოდით, რომ უკრაინა ბელარუსზე თავდასხმას აპირებდაო. წარმოიდგინეთ, საქმე რა აბსურდამდეა მისული, მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან მთელი მსოფლიო ჩაერთო. პუტინი არის ფაშისტური იდეოლოგიის მატარებელი, რომელიც დაპყრობით ომებს აწარმოებს.

– რას ნიშნავს ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღზე საუბარი რუსეთის მხრიდან?

– ალბათ, პუტინი უკრაინის ტერიტორიაზე ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის გამოყენებას გეგმავს, ოღონდ, უნდა, უკრაინას დააბრალოს. პუტინი ისეთ აბსურდამდეა მისული, იმ კორპუსებისა და სახლების დაბომბვასაც კი უკრაინელებს აბრალებს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობდა. მან რუსეთში მთელი საინფორმაციო სივრცე ჩაკეტა, რათა საზოგადოებამ ვერ გაიგოს, სინამდვილეში რა ხდება.

თუმცა 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა, პუტინი თავის მიერ ჩადენილ საშინელებებს ვეღარ დამალავს და რუსეთის მოსახლეობას აბსურდს თავს ვეღარ მოახვევს. ბოლო გამოკითხვებით, მოსკოვში, რომელიც ცივილიზებული ცენტრია, 60% ამბობს, რომ ომის წინააღმდეგია.

– ბიოლოგიური იარაღის გამოყენება რას ნიშნავს?

– ეს საშიში დაავადებების გადამტანი მიკროორგანიზმების გავრცელებას ნიშნავს. შავი ჭირი, ტულარემია, ტუბერკულოზი და უამრავი სხვადასხვა ტიპის დაავადებაა, რომლებიც მასობრივად გავრცელდება, რაც ეპიდემიებსა და მოსახლეობის განადგურებას გამოიწვევს. უნდათ, ეს მიაწებონ აშშ-სა და უკრაინას, რადგან, როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში ბიოლოგიური ლაბორატორიები არსებობს, რომლებიც აშშ-ის დახმარებით არის გახსნილი. თუ რამე ინფექციური დაავადებების საფრთხე შეიქმნა, აღნიშნული ლაბორატორიები პრევენციას ახდენენ. ლაბორატორია შეისწავლის და მერე მოსახლეობას დაეხმარება დაავადებების პროფილაქტიკასა და აღკვეთაში.

– რუსეთი საქართველოში არსებულ ლუგარის ლაბორატორიაზეც ხშირად საუბრობდა.

– საბჭოთა კავშირის პერიოდში ასეთი ლაბორატორიები საქართველოში არსებობდა. მაშინ ამას რუსეთი აკეთებდა. ისიც არ იყო სამხედრო დანიშნულების. საქართველოში მას ერქვა შავი ჭირის ლაბორატორია. იმ შავი ჭირის ლაბორატორიას იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც დღეს ლუგარის ლაბორატორიას აქვს, ე.ი. პროფილაქტიკის მიზნით რაიმე მძიმე და საშიში პათოგენების გავრცელება რომ არ მომხდარიყო.

– ლუგარის ლაბორატორია გამოგვადგა.

– დიახ, გამოგვადგა. ასეთი ლაბორატორია რუსეთში უამრავია. არ არსებობს დედამიწაზე ქვეყანა, სადაც ასეთი ლაბორატორია არ არის. თუ ნორმალური ქვეყანაა და უსაფრთხოებაზე ფიქრობს, ასეთი ლაბორატორიები მსოფლიოში, დედამიწის ზურგზე ყველგანაა, ყველა ქვეყანაშია. ამიტომ ეს არის მოგონილი თემა, რაც დიდი საფრთხის შემცველია.

– საქართველოსთვის საფრთხის შემცველ განცხადებებზე მინდა გკითხოთ, რომლებსაც დღეს ზოგიერთი ოპოზიციონერი აკეთებს. როგორც ვიცი, თქვენ დაგირეკეს ოპოზიციონერი დეპუტატის, დეკანოიძის უკრაინულ არხზე გამოსვლის შესახებ და იქიდან გახმაურდა.

– უკრაინელმა მეგობრებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარე ხატია დეკანოიძე გამოვიდა უკრაინის ერთ-ერთ ტელევიზიაში. იქ ყველა ტელევიზიაში ერთი და იგივე გადაცემებია. ამიტომ, ფაქტობრივად, მოსახლეობა ყველა ტელევიზიას ერთდროულად ადევნებს თვალყურს.

ხატია დეკანოიძემ შემაძრწუნებელი რამ გააკეთა – თქვა, რომ საქართველო ეძებს შავ ხვრელებს იმისათვის, რომ პუტინს დაეხმაროს, შექმნას იარაღი უკრაინის მოსახლეობის გასანადგურებლად. ამაზე დიდი კატასტროფა არ არსებობს. 30 წელია, პოლიტიკაში ვარ და ასეთი რამ არ შემხვედრია.

– უკრაინელმა მწვანეებმა, კერძოდ, რა გითხრეს?

– უკრაინის მწვანეთა პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებთან ერთად ჩვენ ევროპის მწვანეთა პარტიის საბჭოში ვართ, გვითხრეს, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა საშინელი რამ განაცხადა და ვინ არისო, ასეთი კითხვა დასვეს.

აღმოჩნდა, რომ 7 მარტს, ჩვენი დროით ღამის ორის ნახევარზე, ხატია დეკანოიძე უკრაინის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში იყო. იმავე დღეს ვიდეო მოვიპოვეთ, ამოვჭერით და გავავრცელეთ, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი გავრცელებული ინფორმაცია ვიღაცებმა მიიწერეს.

– ასეთი განცხადებები რას ნიშნავს? ანუ ისეთი განცხადებებით, როგორიც დეკანოიძემ გააკეთა, უკრაინელებიც შეშფოთებული იყვნენ.

– მთავარი მომენტი, რომელიც მედიამ გამოტოვა, არის ის, რას ნიშნავს ეს? წარმოიდგინეთ, უკრაინის მოსახლეობა, რომელსაც უბომბავენ და უნგრევენ სახლებს, შვილებს უხოცავენ, ორმილიონ-ნახევარი ადამიანი ლტოლვილია. ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაშია, ამ დროს ვიღაც გეუბნება, რომ საქართველო რუსეთს ეხმარება იარაღის შექმნაში. ამაზე დიდი დანაშაული რა უნდა იყოს? ეს ხომ თაობებს გადაეცემა.

წარმოიდგინეთ, როგორ აღშფოთებას გამოიწვევდა დეკანოიძის განცხადება უკრაინულ საზოგადოებაში და როგორი დაპირისპირება შეიძლება მოჰყვეს მას უკრაინისა და საქართველოს საზოგადოებებს შორის. ამას არ ჰქვია ოპოზიცია. ესაა სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი“

– საქართველოს თითოეულ მოქალაქესა და, პირველ რიგში, უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, გვევალება, ეს ჩვენი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა, რომ პატივი ვცეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მთავარი კანონი ანუ კონსტიტუცია. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარტიის ოფისში გამართული პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მას იმედი აქვს, რომ მალე ყველაფერი გაირკვევა და კითხვებიც მოიხსნება.

– მე, რა თქმა უნდა, არ გავიმეორებ იმას, რაც პოლიტსაბჭოს წერილში იყო განმარტებული, ერთს დავამატებდი, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და პირველ რიგში, უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, გვევალება, ეს ჩვენი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა, რომ პატივი ვცეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მთავარი კანონი ანუ კონსტიტუცია.

რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ თემებზე გვიწევს საუბარი, მაშინ როცა ჩვენ ქვეყანასა და მოსახლეობას ამდენი გამოწვევა და ამდენი პრობლემა აქვს, იქნება ეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები თუ ტერიტორიული პრობლემები თუ სხვა რეგიონში მიმდინარე რთული პროცესები, ამ დროს, ასეთ ვითარებაში გვიწევს ჩვენ საუბარი ისეთ საკითხებზე, რომელიც არის განმარტებული, ცხადი და ნათელი და ამ ყველაფერს განმარტავს საქართველოს კონსტიტუცია.

როგორც ჩანს, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი. მინდა, ვარაუდი გამოვთქვა, რომ ამ გაურკვევლობასა და გაუგებრობაში აღმოჩნდა. აქვე მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ ძალიან მალე ყველაფერი გაირკვევა და ეს კითხვებიც მოიხსნება, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

რა შეიძლება მოჰყვეს პუტინის ულტიმატუმების შესრულებასა და მუქარით დადებულ ზავს უკრაინაში?

თეთრი სახლი: „ჩვენ რუსეთის ეკონომიკა დავანგრიეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში რუსეთი აგრძელებს შეტევას ქალაქებზე. გრძელდება მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების განადგურება. შესაძლებელია თუ არა, რომ უკრაინის პრეზიდენტი ამ გაუსაძლის სიტუაციაში დასთანხმდეს პუტინის ულტიმატუმებს? დასავლელი ანალიტიკოსები ამას არ გამორიცხავენ.

„დოიჩე ველეს“ მიმომხილველის აზრით, რუსეთის მოთხოვნები დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების აღიარების, ყირიმის ანექსიის ცნობის, დემილიტარიზაციის თაობაზე კატეგორიულად მიუღებელია უკრაინისათვის, თუმცა სისხლისღვრისა და ნგრევის შესაჩერებლად, შესაძლოა, ზელენსკი ამაზე წავიდეს. ავტორის აზრით, ასეთი ზავი და ასეთი გზით დადებული შეთანხმება მყარი ვერ იქნება:

– რაიმე დოკუმენტს ხელიც რომ მოეწეროს, გარკვეული ხნის შემდეგ ის თავის ღირებულებას დაკარგავს. ის იქნება გაფორმებული იარაღის ლულის ქვეშ. ის მოშვერილია როგორც მილიონობით უკრაინელზე, ისე მთელ ევროპაზე.

ანალიტიკოსის სიტყვებით, რით და როდის დამთავრდება რუსეთ-უკრაინის ომი, არავინ იცის. ერთი რამ არის აშკარა – ვოლოდიმირ ზელენსკი ისტორიაში შევა, როგორც პრეზიდენტი, რომელმაც მიიღო მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი არმიის გამოწვევა.

ავტორის თქმით, უკრაინის ომმა დაადასტურა, რომ რუსეთი არც ისეთი ძლევამოსილია, რუსეთის არმია კი გადაიქცა შეიარაღებულ ორგანიზებულ დამნაშავე დაჯგუფებად. რუსეთის ჯარები ბომბავენ მშვიდობიან კვარტლებს ჩერნიგოვში, ხარკოვში, მარიუპოლში, ახტირკასა და სხვა ქალაქებში; ფერფლად აქცევენ სკოლებს, საბავშვო ბაღებსა და სამშობიარო სახლებს. ამას წინ აღუდგა მთელი უკრაინელი ხალხი. პუტინს სურს ზელენსკის სიკვდილი – თუ ფიზიკური არა, პოლიტიკური მაინც. ის, რომ მან ეს აქამდე ვერ შეძლო, კრემლის სისუსტეზე მეტყველებს.

ანალიტიკოსის აზრით, პუტინის საბოლოო მიზანია უკრაინის სახელმწიფოებრიობის განადგურება.

უკრაინაში შეჭრილ რუსეთს ახალ-ახალ სანქციებს უმატებენ. ევროკავშირმა დაამტკიცა სანქციების მეოთხე პაკეტი. ის ეხება ფიზიკურ პირებს, რომლებსაც კავშირი აქვთ უკრაინის მოვლენებთან და რუსეთის ზოგიერთ ეკონომიკურ სექტორს.

მანამდე ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ შემოიღო 518 სანქცია. სასანქციო ნუსხა გააფართოვა იაპონიამაც. ტოკიოს ახალი შეზღუდვები მოიცავს 17 ფიზიკურ პირს. მათ შორის, სახელმწიფო დუმის დეპუტატებს.

– ვაშინგტონმა და მისმა მოკავშირეებმა ეკონომიკური სანქციებით მთლიანად გაანადგურეს რუსეთის ეკონომიკა, – განმარტავს თეთრი სახლის პრესმდივანი ჯერ პსაკი.

ევროკავშირის მაღალჩინოსანი, ევროკომისიის მეთაურის მოადგილე მაროშ შევჩოვიჩი, რუსეთს სტრატეგიულ საფრთხეს უწოდებს.

– უკრაინაში თავისი სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ რუსეთი გადაიქცა სტრატეგიულ საფრთხედ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ახლა ვიმოქმედოთ და ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან, როგორც მოკავშირეებმა. რუსეთი აღარ არის სტრატეგიული გამოწვევა. რუსეთი უკვე სტრატეგიული საფრთხეა. ჩვენ ის უნდა შევაკავოთ. ჩვენ უნდა გავაჩეროთ ომი, – ამბობს ევროკომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

რომში ჩინეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა უკრაინის მოვლენები განიხილეს. ამას წინ უძღოდა ვაშინგტონსა და პეკინს შორის მწვავე განცხადებების ურთიერთგაცვლა. თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ ანტირუსული სანქციების რეჟიმის დარღვევის გამო ჩინეთს სერიოზული შედეგები ელის. სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ არავის მისცემს უფლებას, მოახდინოს რუსეთის დანაკარგების კომპენსირება.

ამის გამო პეკინი თავს იმართლებს. ჩინეთის საგარეო მინისტრი ამბობს, რომ ჩინეთი კონფლიქტის მხარე არ არის. ზოგიერთი ძალა ახდენს ცრუ ინფორმაციის ფაბრიკაციას ჩინეთის წინააღმდეგ უკრაინის საკითხში. ჩინეთი თამაშობს კონსტრუქციულ როლს უკრაინის კრიზისის მოწესრიგებაში.

ევროკავშირი გმობს რუსეთის აგრესიას, თუმცა, იმავდროულად, საკუთარ შეცდომებსაც ხედავს. რამდენიმე დღის წინ საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეპ ბორელმა აღიარა, რომ ევროკავშირმა შეცდომა დაუშვა, როცა უკრაინასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას დაჰპირდა. მისი აზრით, კიდევ ერთი შეცდომა იყო ის, რომ თავის დროზე ევროკავშირი არ ეცადა რუსეთთან დაახლოებას.

პენიტენციარული სამსახური: „სააკაშვილი ყიფშიძის კლინიკაში გადაიყვანეს“

მარიამ ჯიშკარიანი: „მკურნალობა კვლავ არაადეკვატურია“

სპეციალური პენიტენციარული სამსახური მიხეილ სააკაშვილის ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მიხეილ სააკაშვილმა ემერტე კვლევაზე უარი თქვა.

ამასთან, სამსახური აღნიშნავს, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილსა და მის უფლებადამცველებს ჩატარებული კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია სრულად გადაეცემათ.

„მიმდინარე წლის 13 მარტს, სამედიცინო პერსონალის მიერ რეკომენდებული გამოკვლევების ჩატარების მიზნით, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი გადაიყვანეს შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“. სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილს, მისივე თანხმობით, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია და ელექტრონეირომიოგრაფია ჩაუტარდა, ხოლო ემერტე კვლევაზე მან უარი თქვა.

მოთხოვნის შემთხვევაში, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილსა და მის უფლებადამცველებს ჩატარებული კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია სრულად გადაეცემათ.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია

ბრალდება, რომ იუსტიციის სამინისტროს აღნიშნული ინფორმაცია გასაიდუმლოებული აქვს. განვმარტავთ, რომ სპეციალური პენიტენციარული სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე, დაამუშაოს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რადგან ის განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციას წარმოადგენს.

მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი პენიტენციარულ სისტემაში უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მედიკამენტითა და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მომსახურებით“, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც პენიტენციარული სამსახური ავრცელებს.

ეს არის სრული თვითნებობა, რასაც ჩადის პენიტენციარული სამსახური – ცენტრ „ემპათიაში“ აცხადებენ, რომ მესამე პრეზიდენტი წამების მსხვერპლია, რადგან მას სათანადო მკურნალობა არ უტარდება.

ჯიშკარიანის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა უარი თქვა მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის კვლევაზე და მოითხოვა საკუთარი ექიმების დაშვება სამედიცინო პროცედურის ჩატარების დროს, რაზეც მან უარი მიიღო.

– მან უარი განაცხადა ემერტეს კვლევაზე იმიტომ, რომ მოითხოვა თავისი ექიმების დაშვება ექსპერტების ცენტრ „ემპათიიდან“ და ამაზე მიიღო უარი. შესაბამისად, მისთვის იყო გაუგებარი, ვინ უტარებდა და რა გამოკვლევას უტარებდა. ეს არის სრული თვითნებობა, რასაც ჩადის პენიტენციარული სამსახური და ეს ქმედებები გასულია კანონის ჩარჩოდან. მკურნალობა კვლავ არის არაადეკვატური, რაც არის წამების ტოლფასი ქმედება, – ამბობს მარიამ ჯიშკარიანი.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები ამბობენ, რომ ტყუილია, რომ პენიტენციარული სამსახური იცავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი მალულად გადაიყვანა სამედიცინო დაწესებულებაში.

– მიხეილ სააკაშვილის უფლების დარღვევა გრძელდება მუდმივ და განგრძობით რეჟიმში, რაც შეიძლება, დასრულდეს ძალიან ცუდი და ფატალური შედეგითაც კი, ამიტომ საჩქაროა მისი გადაყვანა სასწრაფოდ სამკურნალოდ, მათ შორის, თუ საჭირო გახდება, საზღვარგარეთ.

ტყუილია, რომ პენიტენციარული სამსახური იცავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს. მასალების გადმოცემა მაინც მოუწევთ, მათ შორის შესაძლებელია სასამართლოს გზითაც, თუმცა, საქმე ის არის, როდის მოხდება ამ მასალების გადმოცემა, – ამბობს შოთა თუთბერიძე.

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის 22 პირი დააკავა

მათ შორის 17 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის 22 პირი დააკავა, მათ შორის 17 ნარკორეალიზატორია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებს ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება ედებათ.

მისივე ცნობით, დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად, თბილისში, ფონიჭალის დასახლებასა და რეგიონებში 17 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს:

2000 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ტ. ფ., 1978 წელს დაბადებული ი. მ., 1952 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა. ა., 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი შ. ფ., 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი თ. კ., 1996 წელს დაბადებული დ. ჯ., 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა. პ., 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა. ჯ., 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე. ქ., 1972 წელს დაბადებული შ. მ., 1975 წელს დაბადებული ჯ. გ., 1986 წელს

დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე. პ., 1997 წელს დაბადებული ე. ა., 1980 წელს დაბადებული ტ. ფ. და 2008 წელს დაბადებული ა. პ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი რ.რ. ზუგდიდში დააკავეს.

1993 წელს დაბადებული გ.ლ. კი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს.

დაკავებულებს ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება ედებათ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალებების – „ჰეროინის“, „პრეგაბალინის“, „სუბოქსინისა“ და „ალფა-პვპ“-ს საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებული ნარკორეალიზატორების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, სავარაუდოდ, ნარკოტიკების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები – 18.135 ლარი და 1.600 აშშ დოლარი, ასევე, საინექციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები.

გარდა ნარკორეალიზატორებისა, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის 5 პირი – 1983 წელს დაბადებული ო.ა., 1981 წელს დაბადებული ზ.ზ., 1989 წელს დაბადებული რ.ჩ., 2000 წელს დაბადებული ჯ.ს. და 1989 წელს დაბადებული ე.გ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი ბინებისა და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღეს, მათ შორის, რ.ჩ.-სგან ნივთმტკიცების სახით ამოიღეს 64 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“. ზ.ზ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად კი პოლიციამ 45 შეკვრად დაფასოებული, „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებას გულისხმობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პატრული კახა ბაკაშვილი მეტროში შშმ პირის ცემას აღიარებს

მეტროში არასრულწლოვანი შშმ პირის ცემის საქმეზე დაკავებული პატრულ-ინსპექტორებიდან ერთ-ერთი, კახა ბაკაშვილი, ბრალს აღიარებს.

ბაკაშვილი აღნიშნულ პოზიციას სასამართლო პროცესზე აფიქსირებს, დაცვის მხარე კი მისი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას მოითხოვს.

მოსამართლე ალექსანდრე იაშვილის კითხვაზე, ცნობს თუ არა ის წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ, ბაკაშვილმა უპასუხა:

– დიახ, სრულად.

რაც შეეხება მეორე პატრულ-ინსპექტორს, ნუკრი ბაქრაძეს, რომელსაც უშუალოდ არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას ედავებიან, ის ამ ეტაპზე დუმილის უფლებას იყენებს.

ის სასამართლო პროცესზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირჩევს.

პროცესზე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა, მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს.

ცნობისთვის, შემთხვევა 23 იანვარს მოხდა. პატრულ-ინსპექტორ ნუკრი ბაქრაძეს ბრალად ედება არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 ტერცია მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პატრულ-ინსპექტორ კახა ბაკაშვილს კი ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ლადო გრიგალაშვილს ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის უვადო პატიმრობა ძალაში დარჩა

20 წლის ანა ნაცვლიშვილის სასტიკ მკვლელობაში მსჯავრდებული ლადო გრიგალაშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლომაც დამნაშავედ ცნო და მის მიმართ შეფარდებული უვადო პატიმრობა ძალაში დარჩა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ – სამი მოსამართლის შემადგენლობით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 ნოემბრის გამამტყუნებელი განაჩენი.

14 მარტის სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა.

პროკურორმა საკუთარ სიტყვაში იმ არაერთ მტკიცებულებაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მსჯავრდებულის წინააღმდეგაა მოპოვებული. ამასთან, ბრალდების მხარე დანაშაულის სიმძიმეზე და სისასტიკეზე ამახვილებდა ყურადღებას.

რაც შეეხება თავად ბრალდებულს, მან საბოლოო სიტყვით ისარგებლა. ის ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია.

განაჩენის გამოცხადებას მოკლულის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. ისინი სასამართლოს განაჩენით კმაყოფილები არიან.

ცნობისთვის, 2018 წლის 22 თებერვალს, ანა ნაცვლიშვილი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მისი შეყვარებული – ლადო გრიგალაშვილი დააკავეს. მან ანა ნაცვლიშვილი შემთხვევის დღეს სახლიდან გაიყვანა და დანით 33 ჭრილობა მიაყენა. თავისა და კისრის არეში მიყენებული სასიკვდილო ჭრილობებით ანა ნაცვლიშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

აღნიშნული დანაშაულისთვის თბილისის საქალაქო სასამართლომ ლადო გრიგალაშვილს უვადო პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გრიგალაშვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სწორედ აღნიშნული საჩივარი არ დააკმაყოფილა 14 მარტს სასამართლომ.

დიდუბეში 4 ადამიანის დაჭრის ფაქტზე 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, გოგოლაურის ქუჩაზე მომხდარ შემთხვევაში მონაწილე 2 პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ცნობისთვის, თბილისში, გოგოლაურის ქუჩაზე მომხდარი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სავარაუდოდ, 4 ადამიანია დაჭრილი. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, დაჭრილი პირებიდან 3 ძმაა.

დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს.

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ მე-4 პაკეტი დაამტკიცა

ევროკავშირის საბჭომ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური და ინდივიდუალური სანქციების მეოთხე პაკეტი დაამტკიცა.

როგორც ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა განაცხადა, მაშინ, როდესაც პუტინი აგრძელებს ომს უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ, ევროკავშირი ერთგული რჩება თავისი გადაწყვეტილების, მხარი დაუჭიროს უკრაინას და დაასუსტოს კრემლის საბრძოლო მანქანის დაფინანსება.

– სანქციების მეოთხე პაკეტი არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარტყმა რუსეთის ეკონომიკური და ლოჯისტიკური ბაზისთვის, რომელსაც რუსეთი ეყრდნობა უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების გაგრძელებისას. სანქციების მიზანია, პრეზიდენტმა პუტინმა შეწყვიტოს ეს არაადამიანური და უაზრო ომი უკრაინაში, – განაცხადა ჯოზეფ ბორელმა.

ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციების მეოთხე პაკეტი მოიცავს:

1. ტრანზაქციების აკრძალვას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გარკვეულ საწარმოებთან;

2. ნებისმიერი რუსი პირის ან სუბიექტისთვის საკრედიტო რეიტინგის ნებისმიერი სერვისის მიწოდების აკრძალვას, ისევე, როგორც საკრედიტო რეიტინგის აქტივობებთან დაკავშირებით ნებისმიერ სააბონენტო სერვისებზე წვდომის აკრძალვას;

3. იმ პირთა სიის გაფართოებას, რომლებსაც აქვთ კავშირი რუსეთის თავდაცვითსაწარმო ბაზასთან, რომლებსაც უწესდებათ უფრო მკაცრი შეზღუდვები იმ მასალებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ რუსეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ტექნოლოგიურ დახვეწას;

4. რუსეთის ენერგოსექტორში ახალი ინვესტიციების განხორციელების აკრძალვას, ასევე, ენერგოინდუსტრიისთვის ყოვლისმომცველი შეზღუდვების წარმოდგენას აღჭურვილობის, ტექნოლოგიისა და სერვისის ექსპორტზე;

5. შემდგომი სავაჭრო შეზღუდვების წარმოდგენას რკინისა და ფოლადის, ასევე, ფუფუნების საგნების მიმართულებით.

ამასთანავე, ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დამატებითი სანქციები დაუწესოს ოლიგარქებს, ლობისტებსა და პროპაგანდისტებს, ჯამში, 600-ზე მეტ პირს, რომლებიც კრემლის ნარატივს ავრცელებენ.

სანქციები უწესდებათ საკვანძო კომპანიებს ავიაციის, სამხედრო ინდუსტრიის, გემთმშენებელ და მანქანათმშენებელ სექტორში.

მარინა ოვსიანიკოვა: „არ ვნანობ, რაც გავაკეთე“





– საგამოძიებო კომიტეტში ვიმყოფები. არსებობს ინფორმაცია, რომ მარინა რომელიღაც რაიონულ განყოფილებაში ჰყავთ.

ამის შესახებ რუსეთის „პირველი არხის“ რედაქტორ მარინა ოვსიანიკოვას ადვოკატმა დანიილ ბერმანმა გუშინ, 15 მარტს, სოციალურ ქსელში დაწერა.

ადვოკატის თქმით, რუსეთში მოქმედებს სქემა, რომლის მიხედვითაც, ბრალდებული ადვოკატის გარეშე მიჰყავთ დაკითხვაზე და აშანტაჟებენ.

– მოვედი საგამოძიებო კომიტეტში. დიდად აქაც ვერაფერს გაარკვევ. არსებობს ინფორმაცია, რომ ის შეიძლება წაეყვანათ რომელიმე რაიონულ განყოფილებაში. გამოდის, რომ მარინა შეიძლება იყოს ნებისმიერ ადგილას – წადი და ეძებე.

ასეთი სქემაა – ადამიანი სადღაც მიჰყავთ, ადვოკატის გარეშე სკამზე სვამენ და ეუბნებიან – აღიარებ და ითანამშრომლებ – მიიღებ შინაპატიმრობასა და პირობით სასჯელს. არ აღიარებ – აღმოჩნდები ციხეში და მიიღებ 15-წლიან სასჯელს.

ადამიანმა, რომელსაც სამართლის დარგის ცოდნა და ადვოკატის გამოყენების პრაქტიკა არ აქვს, სავსებით შესაძლებელია, გამოძიებასთან თანამშრომლობა და აღიარება აირჩიოს. ასეთ სიტუაციაში ვინმეს გამტყუნება შეიძლება? სასწორზე ხომ არა 15 დღე, არამედ 15 წელი დევს.

სხვათა შორის, „ნაცისტურ“ უკრაინაში, სწორედ იქ, სადაც „ბანდეროველები“ არიან, არის ასეთი „მკაცრად ფაშისტური“ რამ – სისხლის სამართლის საქმეთა საჯარო რეესტრი. თუ საქმე აღიძრა, ამის შესახებ ინფორმაცია რეესტრში იწერება და არ არის საჭირო, მთელ ქალაქში ენაგადმოგდებულმა ირბინო და ეძებო, რომელ გამომძიებელს უნდა ჰქონდეს ორდერი. მის შესახებ ინფორმაცია ყველასათვის ღიაა.

ოვსიანიკოვას მაგალითზე აშკარად ჩანს რუსეთში ყველა სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურათა ხვრელი და არალეგალური ბუნება, – წერს ბერმანი.

„არ ვნანობ, რაც გავაკეთე! რაც არ უნდა იყოს შედეგი, მზად ვარ, ვატარო, როგორც ღირსების ბეიჯი“, – ამის შესახებ მარინა ოვსიანიკოვამ „ტვიტერის“ გვერდზე დაწერა.

მისი თქმით, არ აქვს ინფორმაცია, რა ელის მომავალში, თუმცა, როგორც ადვოკატისგან მიიღო განმარტება, მას, შესაძლოა, 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდეს.

„არ ვიცი, რა მელის უახლოეს პერიოდში. ჩემმა ადვოკატმა განმიმარტა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლოა, 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მემუქრებოდეს. ამას არ ვნანობ, თუმცა თქვენი მხარდაჭერა მჭირდება“, – განაცხადა ოვსიანიკოვამ.

მან სოციალურ ქსელში სტატუსი უკვე შეიცვალა, სადაც მითითებულია, რომ ის პირველი არხის ყოფილი რედაქტორია.

შეგახსენებთ, მარინა ოვსიანიკოვა რუსეთის „პირველი არხის“ გადაცემა „ვრემიას“ პირდაპირ ეთერში ომის საწინააღმდეგო ბანერით ხელში გამოჩნდა, რითაც უკრაინაში რუსეთის აგრესიული ქმედებები და „პირველი არხის“ კრემლისტური პროპაგანდა გააკრიტიკა, რის გამოც ის ადგილზევე დააკავეს.

ადვოკატს მასთან კავშირი ამ დრომდე ვერ დაუმყარებია.

უკრაინიდან 20-მდე დეპუტატი გაიქცა

უკრაინიდან 20-მდე სახალხო დეპუტატი გაიქცა.

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის უმაღლესი რადის პირველი ვიცესპიკერი ალექსანდრ კორნიენკო ავრცელებს.

კორნიენკოს განცხადებით, ესენი ის დეპუტატები არიან, რომლებსაც აქამდეც ჰქონდათ არაპატრიოტული გამოვლინებები.

– არსებობს სხვადასხვა რიცხვი, ახლა კონკრეტიკას არ მოვყვები. დაახლოებით 20 სახალხო დეპუტატია უკრაინის გარეთ. მოდი, ასე ვთქვათ. ესენი ის დეპუტატები არიან, რომლებსაც აქამდეც ჰქონდათ არაპატრიოტული გამოვლინებები, – განაცხადა კორნიენკომ.

მისივე ინფორმაციით, გაქცეული დეპუტატების გვარები უკრაინის უშიშროების სამსახურისთვის ცნობილია და უწყება იზრუნებს ამ საკითხზე, როგორც კი კოლაბორაციონისტების შესახებ კანონი ძალაში შევა.

რუსებმა ზაპოროჟიეს ატომურ სადგურზე აფეთქება მოაწყვეს



არსებული ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა უკრაინის ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქება მოაწყვეს.

ინფორმაციას ამის შესახებ „გარდიანი“ ავრცელებს.

მსგავს ცნობებს, უკრაინის ბირთვული ენერგიის სახელმწიფო კომპანიაზე დაყრდნობით, უკრაინული მედიასაშუალება კიევ ინდეპენდენტიც ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, ასაფეთქებელი ნივთიერებები აფეთქდა რუსეთის მიერ კონტროლირებადი უკრაინული ატომური სადგურის მთავარ რეაქტორთან და შემდგომი აფეთქებებიც იგეგმება.

ცნობისთვის, ზაპოროჟიეს ბირთვული ობიექტი ევროპის უდიდესი ატომური ელექტროსადგურია.

დამატებითი დეტალები ამ ეტაპზე უცნობია.

ოკუპანტებმა დნეპრის აეროპორტი დაბომბეს

რუსმა ოკუპანტებმა საჰაერო იერიში დნეპრის აეროპორტზე მიიტანეს.

შემთხვევა 14 მარტს, ღამით მოხდა.

ინფორმაციას დნეპროპეტროვსკის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ავრცელებს.

– ღამით მტერმა იერიში დნეპრის აეროპორტზე მიიტანა. განხორციელდა ორი სარაკეტო იერიში. დანგრეულია ასაფრენი ზოლი. დაზიანდა ტერმინალი. მასშტაბური ნგრევაა, – განაცხადა ვალენტინ რეზნიჩენკომ.

მისივე ცნობით, აეროპორტის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უკრაინის უშიშროებამ საზღვარზე კანონიერი ქურდი გიორგი კილაძე დააკავა

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, უკრაინის უშიშროების ძალებმა საზღვარზე კანონიერი ქურდის, გიორგი კილაძის, მეტსახელად „გეგა ოზურგეცკის“, დაკავება შეძლეს, რომელიც 2021 წლის ივნისიდან არის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს სანქციების სიაში.

ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

გამოცემის ცნობით, 2020 წელს კილაძეს განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 7,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ის სასჯელს იხდიდა ჩერნიგოვის ოლქის ნოვგოროდ-სივერსკის შინაგან საქმეთა 31 განყოფილებაში.

უსაფრთხოების წყაროს ინფორმაციით, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მასშტაბური ომის დაწყების შემდეგ, ზემოაღნიშნული სასჯელაღსრულების დაწესებულება დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

დაკავებული კილაძის თქმით, 2022 წლის თებერვლის ბოლოს, დაბომბვის დაწყების შემდეგ, მან თვითნებურად დატოვა კოლონია.

გარდა ამისა, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა 5 რუსი თანამშრომლისა და სანქციონირებული კანონიერი ქურდის დაკავება შეძლო.

ატოციდან მახო ბირთველიშვილი გაუჩინარდა

ქარელის რაიონის სოფელი ატოციდან 27 წლის ახალგაზრდა, მახო ბირთველიშვილი, გაუჩინარდა.

ამის შესახებ სოციალურ ქსელში ოჯახის ახლობელი ნონა ბირთველიშვილი წერს.

„მოგესალმებით. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ. 10 მარტს ქარელის რაიონის სოფელი ატოციდან დილის 4 საათზე სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა მახო ბირთველიშვილი, 27 წლის, ეცვა ჯინსის შარვალი და შავი კურთუკი კაპიუშონით. თუ გეცნობათ ან ფლობთ თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაციას, ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ“, – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გუდიაშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში სახლის ნაწილი დაიწვა

14 მარტს ხანძარი მოხდა თბილისში – ჯორჯაძის ქუჩაზე, გუდიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ეზოში, საცხოვრებელი სახლის ნაწილი დაიწვა.

ცეცხლის გაჩენის სავარაუდო მიზეზი მოკლე ჩართვა გახდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო ბრიგადა.

შენობიდან ხანდაზმული კაცი მეზობლებმა უვნებლად გამოიყვანეს. მალევე ჩააქრეს ცეცხლიც.

ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

სამგურალის მეკარემ სიონს ქულა აჩუქა

სამგურალი-სიონი 1:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე
1:0 რუხაძე (17), 1:1 ლ.ხორხელი (54)

სამგურალი: შოვნაძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, გავაშელიშვილი (სიმდიანკინი 55), ჩიხლაძე (ქურდაძე 46), რუხაძე, კალანდარიშვილი (გ.თევზაძე 55), ა.ვერულიძე, მ.ბაშელეიშვილი, კიკაბიძე (დოლიძე 62), ჯერალდო (ტურე 72)

სიონი: ისიანი, ჯაფიაშვილი, უგრეხელიძე, კილასონია, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი (ზურაბიანი 65), მაჩაიძე (ტვილდიანი 29), ფოცხვერია, ჩუკვურა, თ.ტაბატაძე, ნემსაძე (კორიფაძე 77)

წყალტუბოს სამგურალი ბოლნისის სიონს ზესტაფონში დაუხვდა და ნომინალური მასპინძლები მე-17 წუთზე დაწინაურდნენ – რამდენიმე კარში დარტყმა ბოლოს ირაკლი რუხაძის გოლით დასრულდა.

სტუმრებს პირველ ნახევარში გათანაბრების შანსები ჰქონდათ, მაგრამ ლევან შოვნაძემ გუნდი 2-ჯერ გადაარჩინა. თუმცა, შესვენების შემდეგ წყალტუბოელთა მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვა და ლევან ხორხელმა 54-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა.

დარჩენილ დროში სამგურალი უფრო უტევდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და სიონმა მიმდინარე სეზონში პირველი ქულა მოიპოვა.

დინამო (თბ)-დილა გადაიდო

არცთუ დიდთოვლობის გამო მატჩის ჩატარება ვერ მოხერხდა და გადაიდო.

სატუჩნიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	4	2	1	1	10-4	7
2.საბურთალო	4	2	1	1	6-4	7
3.თელავი	2	2	0	0	3-0	6
4.დინამო (თბ)	3	2	0	1	5-3	6
5.გაგრა	3	2	0	1	4-2	6
6.დილა	3	2	0	1	4-3	6
7.სამგურალი	3	1	1	1	5-4	4
8.ტორპედო	3	1	0	2	1-6	3
9.სიონი	4	0	1	3	1-8	1
10.ლოკომოტივი	3	0	0	3	1-6	0

ფიგურული სტილით მოციგურავეები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან



23-27 მარტს საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება. ტურნირში მონაწილეობას 40-მდე ქვეყნის 166 მოციგურავე მიიღებს მონაწილეობას.

ცხადია, მონაწილეთა შორის არ იქნებიან რუსეთისა და ბელარუსის წარმომადგენლები, ხოლო საქართველოს ნაკრები იმავე შემადგენლობით იასპარეზებს, რომლითაც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე იყვნენ: მორის ყვითელაშვილი (კაცები), ანასტასია გუბანოვა (ქალები), მარია კაზაკოვა და გიორგი რევია (სპორტული ცეკვები), კარინა საფინა და ლუკა ბერულავა (სპორტული წყვილები).

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ქართველი მოციგურავეები ოლიმპიადის დასრულების შემდეგ დღემდე მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ ინტენსიურ წვრთნებს საზღვარგარეთ გადიან. მორის ყვითელაშვილი, ანასტასია გუბანოვა და საფინა-ბერულავას წყვილი იტალიის ქალაქ ბერგამოში, ხოლო მარია კაზაკოვა და გიორგი რევია გერმანიის ქალაქ ობერსდორფში ვარჯიშობენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფედერაციები

14 მარტი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიობა

კრ.პალასი-სიტი 0:0

სატუჩნიო ცხრილი:

1.სიტი	29	22	4	3	68-18	70
2.ლივერპული	28	20	6	2	73-20	66
3.ჩელსი	28	16	8	3	57-19	59
4.არსენალი	26	16	3	7	43-29	51
5.მანჩესტერი	29	14	8	7	48-40	50
6.ვესტ ჰემი	29	14	6	9	48-36	48
7.ვულვზი	29	14	4	11	29-23	46
8.ტოტენჰემი	27	14	3	10	42-35	45
9.ასტონ ვილა	28	11	3	14	41-39	36
10.საუთჰემპტონი	29	8	11	10	36-45	35
11.კრ.პალასი	29	7	13	9	39-38	34
12.ლესტერი	26	9	6	11	40-45	33
13.ბრაიტონი	28	7	12	9	26-34	33
14.ნიუკასლი	28	7	10	11	32-48	31
15.ბრენტფორდი	29	8	6	15	32-45	30
16.ლიდსი	29	6	8	15	31-65	26
17.ევერტონი	26	6	4	16	28-47	22
18.უოტფორდი	29	6	4	19	29-55	22
19.ბარნლი	27	3	12	12	22-38	21
20.ნორვიჩი	29	4	5	20	18-63	17

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

მალიორკა-რეალი 0:3

სატუჩნიო ცხრილი:

1.რეალი	28	20	6	2	59-21	66
2.სევილია	28	15	11	2	40-19	56
3.ბარსელონა	27	14	9	4	52-29	51
4.ატლეტიკო	28	15	6	7	52-36	51
5.ბეტისი	28	15	4	9	50-35	49
6.სოსიედადი	28	13	8	7	29-29	47
7.ვილიარეალი	28	12	9	7	48-26	45
8.ბილბაო	28	10	10	8	32-27	40
9.ვალენსია	28	9	10	9	41-43	37
10.სელტა	28	9	8	11	33-32	35
11.ოსასუნა	28	9	8	11	26-35	35
12.რაიო	27	9	5	13	29-33	32
13.ელჩე	28	8	8	12	30-39	32
14.ესპანიოლი	28	8	9	11	34-41	31
15.ხეტაფე	28	6	10	12	26-32	28
16.მალიორკა	28	6	8	14	26-48	26
17.გრანადა	28	5	10	13	28-44	25
18.კადისი	28	4	12	12	24-41	24
19.ალავესი	28	5	7	16	21-45	22
20.ლევანტე	28	3	10	15	30-55	19

იტალია. სერია ა

ლაციო-ვენეცია 1:0

სატუჩნიო ცხრილი:

1.მილანი	29	19	6	4	55-29	63
2.ნაპოლი	29	18	6	5	51-21	60
3.ინტერი	28	17	8	3	61-23	59
4.იუვენტუსი	29	16	8	5	45-26	56
5.ლაციო	29	14	7	8	58-42	49
6.რომა	29	14	6	9	47-35	48
7.ატალანტა	28	13	9	6	50-31	48
8.ფიორენტინა	28	14	4	10	47-37	46
9.ვერონა	29	11	8	10	54-46	41
10.სასუოლო	29	10	10	9	51-48	40
11.ტორინო	28	9	8	11	34-29	35
12.ბოლონია	28	9	6	13	32-43	33
13.ემპოლი	29	8	8	13	40-54	32
14.უდინეზე	27	6	12	9	35-44	30
15.სპეცია	29	8	5	16	30-50	29
16.სამპდორია	29	7	5	17	37-51	26
17.კალიარი	29	5	10	13	28-53	25
18.ვენეცია	28	5	7	16	25-52	22
19.ჯენოა	29	1	16	12	22-47	19
20.სალერნიტანა	27	3	7	17	22-63	16

პორტუგალია. ჩემპიონატი დივიზიონ

მორეირენშე-სპორტინგი 0:2

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-ანთალია 0:1
გალათასარაი-ბურსაქთაში 2:1
გირესუნი-გაზიანთები 2:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ჩენსტოხოვა-სტალი 2:1

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ოლბორგი 2:3

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მსოფლიო ლიდერებს მშვიდობისკენ მოუწოდებს



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტის თომას ბახის განცხადებით, ორგანიზაცია უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე რუსეთისთვის და ბელარუსისთვის დაწესებული სანქციების მოხსნაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. მაშინაც კი, თუ გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტაზე ან სამშვიდობო შეთანხმებაზე მიიღწევა.

სოკ-მა 28 თებერვალს სპორტულ ორგანიზაციებს საერთაშორისო შეჯიბრებებიდან რუსი და ბელარუსი სპორტსმენების და ოფიციალური პირების ჩამოშორების რეკომენდაციებით მიმართა, რაც საერთაშორისო ფედერაციებმა გაითვალისწინეს.

ბახი შექმნილ ვითარებას აფასებს, როგორც „ძალიან რთულს“ და დასძენს, რომ აკრძალვა არ არის მიმართული უშუალოდ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც შეჭრაზე პასუხისმგებელი არ არის.

თომას ბახი:

– საკითხი ღიად რჩება. ყურადღებით ვაკვირდებით ვითარებას და მოვიქცევით მოვლენათა განვითარების შესაბამისად. პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მათ, ვინც პასუხისმგებელია ოლიმპიური ზავის დარღვევაში. არც რუსი ხალხი, არც სპორტსმენები, არც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი ამაზე პასუხისმგებელი არ არის.

გარდა ამისა, ბახი უკრაინაში რუსეთის აგრესიული საომარი მოქმედებების ფონზე, ოლიმპიური ოჯახის წევრებს და მსოფლიოს ლიდერების მშვიდობის მოწოდებით მიმართავს და პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვას იხსენებს, რაც შემდეგნაირად ჟღერს – მიეცით მსოფლიოს მშვიდობის შანსი.

– ჩემს დასკვნით სიტყვაში იმედი გამოვთქვი, რომ მსოფლიო ლიდერებისთვის ათლეტების სოლიდარობისა და მშვიდობის მაგალითი შთაგონების წყარო გახდებოდა. სულ რაღაც 4 დღეში ყველა ჩვენი იმედი დაიმსხვრა. საშინელმა კადრებმა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის ცნობამ სამყარო შეძრა. მილიონობით უკრაინელი, ძირითადად ქალები და ბავშვები, იძულებულნი გახდნენ სამხედრო მოქმედებებს გაქცეოდნენ და თავი სხვა ქვეყნებისთვის შეეფარებინათ. მსოფლიო საზოგადოებამ შესაშური რეაგირება მოახდინა იმაზე, რასაც ბევრნი მსოფლიო ისტორიისთვის გარდამტეხ მომენტად მიიჩნევენ.

როგორც ბახი აღნიშნავს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რუსეთის ფედერაციის აგრესია დაგმო. რუსეთის და ბელარუსის წინააღმდეგ რეზოლუციას მხარი მხოლოდ 3-მა ქვეყანამ არ დაუჭირა. ამავდროულად, მილიონობით ადამიანის სოლიდარობის აქტის და მსოფლიოს მთავრობების მიერ დაწესებული სანქციების მოწმენი გავხდით.

ოლიმპიურმა მოძრაობამ ასევე დაგმო რუსეთის მთავრობის მხრიდან ოლიმპიური ზავის დარღვევა, ყველას ფედერაციას რუსეთში და ბელარუსში დაგეგმილი ყველა სპორტული ღონისძიების გადატანა მოუწოდა და ამგვარი ქმედებით უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობა აჩვენა.

სოკ-ის პრეზიდენტის თქმით, გრძელდება იმ ადამიანების და ორგანიზაციების გამოაშკარავება, რომლებიც ამ ომზე და ოლიმპიური ზავის დარღვევაში არიან პასუხისმგებელნი. შედეგად, სპორტული შეჯიბრებები ან ღონისძიებები რუსეთის ფედერაციაში ან ბელარუსის რესპუბლიკაში არ უნდა ჩატარდეს. სოკ-ი არ აპირებს წამოეგოს იმ იაფფასიან არგუმენტზე, რომ თითქოს ეს იქნებოდა სპორტის პოლიტიზება, რაც ოლიმპიურ ქარტიასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ეწინააღმდეგება.

ბახი იმედოვნებს, რომ ეს გლობალური პრობლემები რაც შეიძლება მალე გადაილახება და მშვიდობა აღდგება.

– სოლიდარობის ნიშნად, გთხოვთ მოწოდებაში შემომიერთდეთ, მუდარაში მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების მიმართ – მიეცით მშვიდობას შანსი.

მოჭიდავეთა წარმატება ბულგარეთში



პლოვდივში დასრულებულ 23 წლამდე მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციამ ჩინებულად იასპარეზა. ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 8 მედალი მოვიპოვეთ, ხოლო თავისუფალში – 7.

ევროპის ჩემპიონობა გიორგი შოთაძემ (63კგ) ფინალში აზერბაიჯანელი ზია ბაბაშოვი ძლევით მოიპოვა – 3:0. დიეგო ჩხიკვაძემ (67) კი, გადამწყვეტ შეხვედრაში თურქ კადირ ქამალს 3:2 აჯობა. ასევე ოქროს მედალი დაისაკუთრა გიორგი ჩხიკვაძემაც (72), რომელმაც ფინალში ასევე ფინალში თურქ აბდულა ტოპრაკს 7:5 მოუგო. საქართველოს ჰიმნი გიორგი ქაცანაშვილმაც (97) ააჟღერა – ავსტრიელ მარკუს რაგინგერს 5:3 მოუგო.

ევროპის ჩემპიონატი ვერცხლის მედლებით დაასრულეს ირაკლი ძიმისტარიშვილმა (60), ბექა გურულმა (82) და დავით სოლოღაშვილმა (77). გიორგი ცოფურაშვილმა (130) კი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილიც მოიპოვა.

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს წარმომადგენელთაგან საუკეთესო შედეგი გიორგი ელბაქიძემ (70) და სოლომონ მანაშვილმა (125) აჩვენეს.

ჩემპიონატი ვერცხლის მედლებით დაასრულეს გიორგი გეგელაშვილმა (57) და ევსევ შველიძემ (79), ხოლო ბრინჯაოს მედლები რამაზ თურმანიძემ (61), ბაგრატ გაგნიძემ (86) და დავით კოღუაშვილმა (92) ირგუნეს.

გუნდურ შეჯიბრებაში აქ საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. მოკარნახე თეატრში; 2. ფეთქებადი ჭურვი; 3. გონებასუსტი ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. ხრახნული კონვეიერი; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. კათოლიკური საგალობელი; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

თარაზულად: 5. იაპონელი კინორეჟისორი; 6. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 8. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 10. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 11. მონარქიული სახელმწიფო აზიაში; 13. გერმანული ლუდი; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. გემის, თვითმფრინავის სვლის მიმართულება; 19. ქვეწარმავლის შხამი; 21. მონასტერი ხუროს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის ნაკრძალში; 23. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაზბეგი; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. პლესეცკი; 12. ქარაშოტი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. ჟენშენი; 19. აზია; 20. ვაჩა.

თარაზულად: 5. კარაკასი; 6. ჯვრისწერა; 9. მელასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. ჩაქვი; 15. დომინო; 18. ჰეიგი; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. კახიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გამბუზია; 2. წინდა; 3. შერატონი; 4. მეტეხი; 7. ებანი; 9. ოსუმი; 12. აგლომერატი; 14. პერესი; 15. ილუმენი; 17. მოლუსკი; 20. შატლი.

თარაზულად: 5. პასკვილი; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. სენატორი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ნორმა; 19. სუფსა; 21. ფაუსტი; 22. ანასეული; 23. ბერკუტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2178

ევრო — 3.5383

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1944

100 რუსული რუბლი — 2.8513

ამინდის პროგნოზი 16 მარტისათვის

სიმონე ინძაგი: „ჩემპიონატში უკეთ თამაში გვმართებს“

მილანის ინტერის მთავარმა მწვრთნელმა სიმონე ინძაგიმ განაცხადა, რომ ტორინოსთან ფრე მისაღები შედეგი არ არის და მის გუნდს ჩემპიონატში პრობლემები აქვს.

ინძაგის აზრით, ეს მალე უნდა გამოსწორდეს:

– მინდა, ისევ ის ინტერი ვიხილო, რომელიც სეზონის დასაწყისში იყო და, იმედი მაქვს, ეს მოხდება, რადგან ბოლო პერიოდში ცუდად ვთამაშობთ და, შესაძლოა, ეს ძვირად დაგვიჯდეს.

დეპაი: „ვგრძნობ, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევდივარ“

ბარსელონის ჰოლანდიელმა შემტევმა მემფის დეპაიმ განაცხადა, რომ ის ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს არის და ყოველ შეხვედრაში სულ უფრო კარგ თამაშს აჩვენებს.

დეპაის თქმით, მალე ის ხავის ნდობას ბოლომდე მოიპოვებს:

– მინდა, ბარსელონას ყველა მატჩში მაქსიმალურად დავეხმარო და ამისთვის ძალებს არ დავზოგავ. ყველაფერი ჩემს ხელშია და ვიცი, რომ უკეთესად თამაში შემიძლია.

ბარსელონას სალაჰის შეძენა სურს

ბარსელონას ლივერპულის ფორვარდის მოჰამედ სალაჰის შეძენა სურს და კატალონიელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 50 მილიონი გადაიხადონ, თუმცა, სავარაუდოდ, ლივერპული ამ თანხას არ დასთანხმდება.

სალაჰი ლივერპულთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს და, შესაძლოა, მას უკვე აღარ სურდეს ლივერპულში დარჩენა. სალაჰს კონტრაქტი 2023 წელს ეწურება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

თანამშრომელი დირექტორს მიმართავს:

– ბატონო დირექტორო, რაღაც მინდა გკითხოთ.

– გისმენთ.

– ბატონო დირექტორო, ჩვენი ძვირფასი თანამშრომელი გივი გარდაიცვალა და შეიძლება, რომ მისი ადგილი მე დავიკავო?

– წინააღმდეგი არ ვარ, მხოლოდ მაგ საკითხზე დამკრძალავ ბიუროს შეუთანხმდით.

●●●

კატასტროფა. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. ორი მფრინავი გადარჩა, მიცურავენ და ერთი მეორეს ეუბნება:

– ხომ გეუბნებოდი, ავტოპილოტს არ დაუსხა-მეთქი, შენ კი აიჩემე – ტრადიცია, ტრადიციაო!...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემთვის ავტორიტეტად ყოველთვის მამაჩემის შავი ქამარი ითვლებოდა.

– კარატეს?

– არა შარვლის.

●●●

სომეხ ქალს გინეკოლოგი სინჯავს და ეუბნება:

– თქვენი ნაყოფი სწორად არ არის მოთავსებული, შეტრიალებულია.

– და, ექიმო, რა უნდა გავაკეთო?

– შენი ქმარიც სომეხია?

– კი.

– მაშინ არაფერია, როგორმე გამოძვრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მურმან ჯინორია საიუბილეო საღამოს უკრაინას უძღვნის

თეატრისა და კინოს მსახიობი მურმან ჯინორია 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს გამართავს.

17 მარტს ღონისძიება ვახტანგ სალარიძის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

მურმან ჯინორიას გადაწყვეტილებით, შემოსული თანხა უკრაინაში გადაირიცხება.

დემნა: „პოდიუმზე რეალური სამყარო გამომაქვს“



ქართველი დიზაინერის, დემნას, ერთ-ერთმა ბოლო ჩვენებამ მოდის კრიტიკოსებსა და საზოგადოებაში უდიდესი ინტერესი და ვნებათაღელვა გამოიწვია.

თოვლით დაფარულ პოდიუმზე მოსიარულე მოდელები და კომფორტულად მსხდომი საპატიო სტუმრები დემნასგან ერთგვარი გზავნილი იყო. უკრაინაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა მას აფხაზეთის ომი გაახსენა და 30-წლიანი ჭრილობა განუახლა.

დემნას ჩვენება უკრაინული ლექსით დაიწყო და უკრაინული ფრაზით დასრულდა. ჩვენება უკრაინის დროშის ფერებში – ყვითელსა და ცისფერში გამოწყობილმა მოდელებმა დახურეს.

დემნა:

– მოდა საოცნებო და არარეალური სამყაროს გარშემო ტრიალებს. ჩემი მიდგომა საპირისპიროა. ტყეში არ დავდივარ, ჩიტებს არ ველაპარაკები და ვარსკვლავებს არ ვაკვირდები შთაგონებისთვის. მე პოდიუმზე რეალური სამყარო გამომაქვს. ზოგადად, არარეალური და წარმოსახვითი რაღაცები არ შთამაგონებს. ღრუბლებში ფრენა არ მიყვარს. ძალიან რეალისტი ვარ.

ნამდვილად ვერ გავუშვებდი შესაძლებლობას ხელიდან, რომ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ნაგვის ჩანთა არ გამეკეთებინა, რადგან ვის არ უყვარს მოდური სკანდალი?

„ბრავო რექორდსი“ 10 წლისაა

„ბრავო რექორდსი“ 10 წლის გახდა. ამ წლების განმავლობაში სტუდიამ არაერთ მსოფლიო ვარსკვლავს უმასპინძლა.

„ბრავო რექორდსის“ გახსნაზე საპატიო სტუმრად ჯაზისა და ბრაზილიური ფანკის ლეგენდა, პიანისტი, მომღერალი და კომპოზიტორი ტანია მარია მოიწვიეს, რომლის საქართველოში ჩამოსვლის ძირითადი მიზეზი სწორედ ამ კომპანიის გახსნა იყო.

ზაზა შენგელია, „ბრავო რექორდსის“ დამაარსებელი:

– „ბრავო რექორდსის“ დაარსებიდან ზუსტად 10 წელი შესრულდა! ამ 10 წლის განმავლობაში ამ ლოგოს ქვეშ უამრავი საინტერესო მუსიკალური პროექტი განხორციელდა. მადლობა ყველას, ვისაც კი აქ წარსულში უმუშავია, ასევე, ვინც დღეს მუშაობს და ცდილობს, მუსიკალური სფერო ამ ქვეყანაში სრულფასოვან ბიზნესად გარდაქმნას.

პანდემია და ომი რომ დამთავრდება, როგორც „ბრავო რექორდსს“ ეკადრება, აუცილებლად ისე აღვნიშნავთ. „ბრავო რექორდსი“ არის ის, რითაც დღეს საქართველოს შეუძლია, იამაყოს.

დმანისის თეატრს ბიუჯეტი 408.462 ლარამდე გაეზარდა

ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის წლიური ბიუჯეტი 26.000 ლარიდან 408.462 ლარამდე გაიზარდა. გადაწყვეტილება კულტურის სამინისტრომ მიიღო. დმანისის თეატრს, რომელსაც წლების განმავლობაში მწირი დაფინანსება ჰქონდა, დღემდე საშტატო განრიგით სულ 3 თანამშრომელი ჰყავდა – სამხატვრო ხელმძღვანელი, დირექტორი და ფინანსისტი. მიმდინარე წლიდან კი, სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალი საშტატო განრიგით, თეატრს ეყოლება 24 თანამშრომელი, მათ შორის, 8 მსახიობი, ასევე, გამნათებელი, ხმის რეჟისორი, ტექნიკური რეჟისორი, რეკვიზიტორი, კოსტიუმერი, სცენის მემანქანე, მხატვარი, სადადგმო ნაწილის გამგე.

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „იმას, რასაც რუსეთის ხელისუფლება ჩადის, გამართლება არ აქვს!“

სანკტ-პეტერბურგში დაბადებული მოდელი, ჯანეტ ქერდიყოშვილი, ბედნიერია, რომ რუსეთში აღარ ცხოვრობს:

– მე დავიბადე სანკტ-პეტერბურგში, აფხაზეთიდან დევნილი ჩემი მშობლების ოჯახში და, სანამ საქართველოში დავბრუნდებოდი, მოსკოვშიც ვცხოვრობდი. ახლა ვხვდები, რამდენად გამიმართლა, იქ რომ აღარ ვარ.

იმას, რასაც დღეს რუსეთის ხელისუფლება ჩადის, გამართლება არ აქვს და ყველა ის ადამიანი, ვინც მდუმარებით უყურებს, არანაკლები დამნაშავეა!

დღეს, აფხაზეთის ომის 30 წლისთავზე, ზუსტად ვხვდები და ვგრძნობ იმას, რასაც დედა განიცდიდა, გემით რომ ტოვებდა რუსული ტანკებით გარშემორტყმულ თავის მშობლიურ აფხაზეთს, ვხედავ, რასაც უკრაინელი დედები განიცდიან.

24 თებერვლის შემდეგ, ასე მგონია, ჩვენც უკრაინაში ვიმყოფებით და ეს ომი ჩვენ წინააღმდეგაც არის. ამ ომს არასდროს ექნება გამართლება.

მადლობა ყველა ქართველს, რომელიც რამით მაინც ცდილობს უკრაინელების მხარდაჭერას და მადლობა მამაც ჟურნალისტ მარია ოვსიანიკოვას განსაკუთრებული მაგალითის ჩვენებისთვის, მათ შორის მდუმარებაში მყოფი რუსული ტელევიზიისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის!

დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კარლა ბრუნიმ ხატია ბუნიათიშვილის აკომპანემენტის თანხლებით იმღერა

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მეუღლემ, კარლა ბრუნიმ, ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის აკომპანირების თანხლებით იმღერა.

მათ მონაწილეობა მიიღეს უკრაინისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც ცნობილი ფრანგი მომღერლის, ბარბარას, ერთ-ერთი ცნობილი ჰიტი შეასრულეს. ხატიამ და კარლამ დამსწრე საზოგადოების მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 მარტისათვის

ვერძი – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 2. „დეკამერონის“ ავტორი; 3. ოსმალეთის იმპერიის მმართველთა ტიტული; 4. ორი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირი; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, მსახიობი მამაკაცი; 8. მსხვილი სამრეწველო-სააქციო გაერთიანება; 12. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 14. ტბა უნგრეთში; 16. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 17. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 19. პოლონეთის პრეზიდენტი; 20. ფულის ერთეული სამხრეთ კორეაში.

თარაზულად: 5. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 6. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ერთეული ძველად, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 11. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 13. სამეჯლისო ცეკვა; 15. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 18. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 21. რაიონული ცენტრი გურიაში; 22. სწრაფად მზარდი გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 23. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა